# თავისუფალი საქართველო

აპრილი N 4 1914


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ ერის სულიერი შემოქმედება

### დაგრძელა მისი წინსვლისათვის.

ქართველ ერს დღეს რომ გადაგვარებული ხალხი ყავს, ალბად შედარებით იმდენი არც ერთს ერში არ მოიპოვება. ქართველ ერს აუტანელ პოლიტიკურ პირობების წყალობით ტერიტორიას ართმევენ, მას ერეკებიან ათასი წლობით დასახლებულ მიწა-ყლიდან, არამც თუ აწმყოში სჩაგრავენ, მომავლის იმედის მოსპობასაც კი ცდილობენ. და თუ თქვენ ხმა აამაღლეთ, თუ მოინდომეთ ხელი გაანძრიოთ თავდასაცველად, რუსის იმპერიალისტურ სოციალ-დემოკრატიის ფარაჯაში გახვეული „ქართველი“ მყისვე შემოგძახებს: ჩუმათ იყავით, სული არ დაბეროთ, ხელი არ გაანძრიოთ, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ერთი ერი მეორეს ერეკება, ერთი ერი მეორეს ადგილს იპერს. მოინდომებთ შექმნათ საკუთარი კულტურული დაწესებულება, სადაც შეგეძლებათ თქვენ სულიერ შემოქმედებას ცოტა ფრთა გაუშლევინოთ, მაშინვე თავს წამოყოფენ გადაგვარებული ელემენტები და შეეცდებიან აქაც კი რუსების უღელში შეგაბათ. ჰეშმარიტად დიდ განსაცდელში ვართ, მაგრამ არც ისე ცუდადაა ჩვენი საქმე, რომ ქართველ ერის მტერნი და ორგულნი საბოლოოდ ვაცინოთ. ადამიანის მოქმედება იმით განსხვავდება დანარჩენ ცოცხალ არსთა მოქმედებისაგან, რომ ის შეიძლება იყოს შეგნებული და მიზანშეწონილი. ამიტომაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში როცა ამბობთ--ესა და ეს მოვლენა ბუნებრივია და მის წინაშე ქედი მოიხარეო, სტყუით, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოებას შეუძლია შეიგნოს თავის არსებობის პირობები და ამ შეგნების მიხედვით მიმართოს თავის მოქმედებაც. მამულს გვართმევენ, ყოველ მხრივ გვერეკებიან, სულიერად გვსპობენ, გაქროობას, დაშლას გვიქადიან? და განა ეს ბუნებრივი მოვლენაა? განა რუსის უზარმაზარი დესპოტია ბუნების ნაყოფია? რასაკვირველია, არა, და თუ ვინმე წინააღმდეგს ამტკიცებს, ის უკვე სულიერად დაცემული, გათახსირებულია. მაგრამ ასეთთა რიცხვი ჩვენში არც ისე ბევრია, როგორც ჩვენ მტერთ ჰგონიათ. ქართველი ერი ღრმად იგნებს თავის სამწუხარო მდგომარეობას, იცის ბევრი მსხვერპლი დასჭირდება თავის ვინაობის დასაცველად მაგრამ უკან არ დაიხევს და თავის ეკლიან გზას გმირულად გაივლის თავისუფლებისა და კეთილღდეობისაკენ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

42998

II - 1355

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საზოგადოებრივ შემოქმედების სხვა ფორმებთან ერთად ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას და დიდ ბრძოლას მოითხოვს ქართველ ერის სულიერი შემოქმედება. ხოლო ეს ბრძოლა იმდენად ნაყოფიერი იქნება, რამდენადაც ჩვენ ნათლად შევიგნებთ ჩვენ მდგომარეობას და ჩვენი მიზნის მისაღწევად გარკვეულ გზას დავიხატავთ. ერთი დიდი უბედურებათაგანი ქართველ ერისა ისაა, რომ პოლიტიკურ დაცემასთან ერთად, აკლებასა და აოხრებასთან ერთად, შესუსტდა ძაფი წარსულთან. წარსულ დიად ნამუშევრის ნაყოფი თითქო მიიმალა, ჩვენთვის უჩინარი გახდა. ერის შემოქმედებამ მთლიანი ისტორიული მიმდინარეობა შეწყვიტა. ასეთი უბედურება არა მარტო ჩვენ გვწვევია. მოგეხსენებათ, თეთრ მთაზე ბრძოლის დროს (1620წ.), ჩეხნი ისე სასტიკად დამარცხდენ, რომ მათი აღდგენის იმედი აღარავის ჰქონდა. პოლიტიკურ განადგურებასთან ერთად ხალხი სულიერად დაეცა, განათლებული და ქალაქად მცხოვრები ჩეხობა გაგერმანელდა. მხოლოდ სოფლად დარჩა მაშინდელ დროში სრულიად უვიცი გლეხობა თავის სამშობლო ენით მოსაუბრე. ასეთი იყო ჩეხიის სურათი მეთვრამეტე საუკუნის გასულს, როცა დაიწყო ჩეხთა ეროვნული გამოღვიძება. მოწინავე პატრიოტებმა პატარ-პატარა წრეები შეადგინეს, სადაც გადასწყვიტეს აღედგინათ ჩეხური ენა და იმ წერტილამდე განევითარებიათ, რომ ყოველ განათლებულ პიროვნებას მთელი თავისი აზროვნების გამოხატვა ამ ენით შესძლებოდა. ამისათვის ორი წყარო იქმნა აღიარებული: ძველი მწიგნობრობა და სოფლელთა ენა, ვინაიდან მოქალაქეთა ენა უკვე საკმაოდ შერყვნილი იყო. დაიწყო მუშაობა, რომელიც ყოველ მკვლევარს აოცებს თავისი სიმძლავრით და ნაყოფიერებით. მცირედი იყო პირველად ეროვნულ აღორძინებისათვის მებრძოლთა რიცხვი. არც იმედი და გაბედულობა იყო საკმარისი. 1827 წელს დიდმა მეცნიერმა პალაცკიმ წინადადება მისცა მუზეუმის საზოგადოებას გამოვსცეთ სამეცნიერო ჟურნალი „მუზეინიკიო.“ კომიტეტის უმრავლესობა ყოყმანობდა, ამტკიცებდენ ჩეხთა შორის სამეცნიერო ჟურნალის ჩეხურ ენაზე მკითხველი არ მოიპოვებაო. გაცხარებულმა პალაცკიმ სუსტ თანამემამულეთ შესძახა: მე რომ რომელიმე ბოშის გვარს ვეკუთნოდე და ჩემი რასის უკანასკნელი წარმომადგენელიც ვიყო, ჩემ უმაღლეს მოვალეობად ჩავთვლიდი მთელი ჩემი ძალ-ღონით. ვიმუშაო, რათა კაცობრიობის ხსოვნაში ღირსეული მოგონება დავტოვოო. მისმა აღფრთოვანებამ სუსტნიც გაიტაცა. და დღეს რას ვხედავთ. ჩეხთა პატარა ერს (7. 382. 100 სულს შეიცავს) დღეს აქვს 1.100 გაზეთი და პერიოდული გამოცემა. ასეთია საარაკო გამარჯვება სამშობლოსთვის თავდადებულ ერისა. თითქმის იგივე ითქმის ფინების შესახებაც. ფინებს მეცხრამეტე საუკუნემდე არავითარი მწერლობა არ ჰქონიათ. დაპყრობილნი შვედების მიერ, სრულიად ემორჩილებოდენ შვედურ აზროვნებას და შემოქმედებას. მაგრამ აი გამოქვეყნდა ფინთა სახალხო ეპოსი „კალევალა“ და მწერლობაც გაჩაღდა. დღეს ფინებს ჰყავთ არა ერთი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და პოლიტიკოსი. ფინლანდიაში 600 კაცზე ერთი პერიოდული გამოცემა მოდის. შვეიცარიაში 400 კაცზე ერთი. ასეთია ის დიდებული წინსვლა მეცხრამეტე საუკუნისა, რომელსაც დემოკრატიული ეროვნული აყვავება უნდა ვუწოდოთ-

ჩვენი მდგომარეობა დღეს სულიერ შემოქმედების მხრივ არც ისე უნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეშოა, როგორც ეს იყო ჩეხიაში ასი წლის წინედ. სამაგიეროდ დიდი განსხვავებაა მაშინდელ და ახლანდელ საარსებო პირობებს შორის. მართალია, მაშინდელი აბსოლუტური ავსტრია გააფთრებული ცდილობდა სხვა და სხვა დამონებულ ერთა გათქვეფას და შთანთქვას, სამაგიეროდ მას გაცილებით ნაკლები საშვალება ჰქონდა ამ მიზნის მისაღწევად, ვიდრე დღეს მოეპოება გაბატონებულ ერს. ამასთან არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რაც უნდა სასტიკი იყოს გერმანელი, ის მაინც ევროპიელია და თავის დღეში ვერ შესძლებს აწარმოოს ისეთი გამანადგურებელი და ამკლები შინაური პოლიტიკა,როგორიც რუსებს აქვთ.

შეუდარებლად უსათუოდ ქართველობამ დიდი ნაბიჯი წასდგა ამ ბოლო დროს, მაგრამ შედარებით სხვა ერებთან კი მისი წინსვლა სულიერ შემოქმედების გზაზე მეტად სუსტია. როცა თქვენი მეზობელი, განსაკუთრებით როცა გაბატონებული ერი ათას ნაბიჯს სდგამს წინ, თქვენ კი მხოლოდ ერთს, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი სულიერი არსებობა განსაცდელშია და საჭიროა მთელი ძალ-ღონით სისტემატიური მუშაობა, რათა ამ განსაცდელს თავი დააღწიოთ. ეს მუშაობა ორ მხარეს შეიცავს. ერთია მუშაობა დადებითი, შემოქმედებითი, მეორე მოგერებითი.

დადებით მუშაობის ერთი მიზანთაგანია ქართველ ერის წარსული სულიერი ნამოქმედარი შეთვისებულ, შესწავლილ და შესისხლხორცებულ იქმნას თანამედროვე ქართველობის მიერ. ეს აღადგენს ქართულ შემოქმედების შეწყვეტილ ძაფს და საშვალებას მოგვცემს ჩვენ ეროვნულ საკუთარ სულიერ არსებობას მკვიდრი ნიადაგი მივცეთ. მეორე დიდი საკითხია— სახალხო შემოქმედებით სარგებლობა. სხვა და სხვა ერთა სახალხო ნაწარმოებებსროგორ დაუკვირდეთ და შეადაროთ მათ ქართველ ხალხის შემოქმედება, იძულებული იქნებით აღიაროთ, რომ ჩვენ ერს დიდი ნიჭი გამოუჩენია ამ ნიადაგზე. მხოლოდ ამ ნაყოფს ხალხურ შემოქმედებისა შესწავლა და შეთვისება ესაჭიროება. ეს ორი წყარო ისეთი მდიდარი და მრავალშინაარსიანია, რომ მკვიდრ საფუძველს გვაძლევს ჩვენ ეროვნულ თავისებურ შემოქმედებისათვის. სხვათა შორის მიაქციეთ ყურადღება ერთ მოვლენას. ყველა დიდი ქართველი შემომქმედი, (სიდიდე ხომ სწორედ პიროვნულ თავისებურებასა და სულიერ მეში გამოიხატება) ამ ორ ზემოხსენებულ წყაროთი იკვებება. დიდმა აკაკიმ და ილიამ—ორივემ ღრმად იცან წარსული ქართული ლიტერატურა. დიდი გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, რაფ. ერისთავი—სამივე ხალხურ ნაწარმოების, ხალხურ სულიერ შემოქმედების პირდაპირი შვილია. დიახ, აქ არის უშრეტელი წყარო ქართულ ეროვნულ შემოქმედებისა.

მაგრამ არაა საკმარისი მარტო თქვენ ეროვნულ ფარგალში მოემწყვდათ. აუცილებელია სხვა ერთა ნამოქმედარით ისარგებლოთ, რაც შეიძლება ფართოდ. ხოლო ეს სარგებლობა არ უნდა იყოს ცალმხრივი და მიმბაძველობითი. პოლიტიკურმა პირობებმა რუსეთს დაგვიმორჩილა. შედეგი—სკოლა რუსული, განათლება რუსული, დიდძალი ნაწილი ქართველობა სახელმწიფო თუ სხვა გვარ სამსახურში ჩაბმული გადაგვარებული დაწესებულებებში სასოფლო კანცელარიიდან დაწყებული რუსული ენა. ამ პირობებში ჩვენი სულიერი განვითარების წინსვლა დიდ განსაცდელშია. კულტურული საკითხი პოლიტიკურად იქცევა და მედგარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემატიურ ბრძოლას მოითხოვს ჩვენგან.

ყოველ უწინარეს საჭიროა ჩვენი ყურადღება მიექცეს თვით ქართველ საზოგადოებას და ქართულ დაწესებულებათ. სამწუხაროდ ჩვენდა, ბევრი ქართული დაწესებულება, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ სამშობლო ენა დაიცვან და ძალასაც არავინ ატანს თავის ენას უღალატონ, თითქო განგებ ქართულს გაურბიან. საჭიროა ბრძოლა ამ დაწესებულებათა წინააღმდეგ, საჭიროა იმ გულგრილობის დაძლევა, რომელსაც ჩვენ საზოგადოებაში ფეხი მოუკიდია. საჭიროა სამშობლო ენის მოღალატეთა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ამავე დროს რთული და შეთანხმებული დაცვა სამშობლო ენისა სხვა და სხვა დაწესებულებებში.

ამგვარად რთული დადებითი მუშაობა, რომელიც უნდა გამოიხატოს წარსულ დაზოგვილ ეროვნულ სულიერ სიმდიდრის შესწავლასა და გაცხოველებაში, მჭიდრო კავშირის დაჭერაში სახალხო შემოქმედებასთან, რაც ეროვნულ ენის შინაარს გაამდიდრებს და გაამრავალფეროვანებს, ფართოდ სარგებლობა სხვა და სხვა ერთა შემოქმედებით და ცდა ავიცილოთ ცალმხრივი გავლენა გაბატონებულ ერისა, ბრძოლა როგორც კერძო ცხოვრებაში, ისე საზოგადო დაწესებულებებში ეროვნულ უფლებათა დასაცველად-აი ის გზა, რომლითაც მსვლელობა ჩვენს სულიერ შემოქმედებას გააძლიერებს და ჩვენ ეროვნულ ნიჭს ფართო სარბიელს წინ გადაუშლის.

---

## ქართველი ერი და მოაზროვნე ქართველობა

ჩვენს დღევანდელს ეროვნულ-კულტურულს ცხოვრებას რომ აკვირდება კაცი, უპირველესად ამჩნევს ერთს ფრიად საგულისხმიერო მოვლენას. სახელდობ იმას, რომ ეროვნული სახე ჩვენი უსისტემოა-იდეურად ჩამოუსხმელი, ჩამოუყალიბებელი, ხოლო მატერიალურად შეუკავშირებელი. რამდენად უსისტემოა ჩვენი ეროვნული სახე, იმდენად უჩინარია იგი, გამოურკვეველი. როგორც ასეთი, იგი მოკლებულია თავის იდეოლოგიას, თავისებურობის ძალით რომ ერთს კულტუროსან ერს მეორეს უპირდაპირებს. იგი მოკლებულია თავის ფილოსოფიას, მეცნიერებას, პოლიტიკას და ხელოვნებასაც კი. აქედან წარმოდგება ის, რომ ქართველის ეროვნული თვითშეგნება არსებითად ტანჯვის ბეჭედს ატარებს და მისი კულტურული ყოფობა მძიმე მორალურს ტვირთს ემსგავსება. არჩ. ჯორჯაძე ამბობდა: „ჩვენ გვესაჭიროება ფილოსოფიური ფორმულა, რომელიც ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნულ კულტურის ვითარებასთან.... ჩვენ იძულებულნი ვართ და თანდათან უფრო მეტად გავხდებით იძულებულნი შევიმუშაოთ განსაზღრული მსოფლ-მხედველობა არა მარტო ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების ასახსნელად და განსამარტავად, არამედ ჩვენი ფსიხიკის, ინდივიდუალ-ინტიმურ სულიერ ვინაობის ნათელსაყოფად.“ (იხ. მისი წიგნი 111, „წინასიტყვაობა.“)

ჭეშმარიტებაა! იდეოლოგიაში უფრო ადრე გამოიხატება ხოლმე საჭირო იდეალური ცვლილობა. ვინემ რეალურ სოციალურ-პოლიტიკურს სფეროში მოხდება ხოლმე იგი ცვლილობა. ამიტომ იდეოლოგია ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთვის უკაფავდა გზას ახალს ცხოვრებას, აკავშირებდა და წვრთნიდა საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ახალის დასამყარებლად. ჩვენს დროში იდეოლოგიის ასეთი მნიშვნელობა გაორკეცებულია. იდეოლოგია ახლა უმთავრესი საშუალებაა სოციალ-პოლიტიკურ შემოქმედებისათვის და უტყუარი სარკეა საზოგადოებრივ-ეროვნული ძალ-ღონიერებისა.

იქ, სადაც თამამად და სრულყოფით იშლება იდეოლოგია, სადაც აზროვნება მძლავრ ალისებრ აღმაფრენს და ცეცხლივით არღვევს, ანადგურებს დაბრკოლებებს, იქ ღრმაა და ძლევა მოსილი შემოქმედებითი მუშაობა, და საზოგადო სულის კვეთებაც დიადსა, წარმტაც და იდეალურ ფორმებში იხატება! ასეთს შემთხვევაში არას ნიშნავს სინამდვილის სიდუხჭირე, მისი ვარამი, მიტომ რომ რეალური ჭირი მორალურად, იდეურად ძლეულია და როგორც ასეთი უმნიშვნელოა, მეტად დროული....

ჩვენში კი სოციალ-ფილოსოფიურ აზროვნებას თითქო ბორკილი ადევს, თითქო ხუნდზეა დაკრული და თავისუფლად ვერ იშლება..მომავალი ისტორიკოსისთვის გაუგებარი თუ არა, გასკვირველი კი იქნება, რომ ჩვენი ერის რადიკალური პარტიებიც ასე უსუსურნი არიან ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხის გადაჭრაში და ეროვნული იდეალის წამოყენებაში!-ეროვნულ კულტურული, თუ გინდ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიაც ვერაფერი ფორმულაა ეროვნული იდეალისა. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში საქართველო რუსეთად რჩება! ღირს შესანიშნავია ის გარემოება, რომ სეპარაცია ჯერ კიდევ აფრთხობს სოციალისტებს და დემოკრატიულ-რადიკალურს პარტიებს ჩვენში.-„პოლიტიკურ-სოციალური საქმიანობა რუსეთის ფარგლებში“-აი მაგათი გეგმის მთავარი დებულება. მაშინ როდესაც, თუ ერს თავისი შემოქმედება ვერ გაურღმავებია, ვერ შეუსხამს ფრთა თავის ნიჭისთვის და თავისებურის კულტურულის სახით ვერ გამოსულა საკაცობრიო სარბიელზე, ამის მთავარი მიზეზი სწორედ ის რუსეთია, რომლის „ფარგლებს“ არ უნდათ ასცილდნენ, და რომელიც თავისი მოუხეშავი ველურობით, თვალუწვდენელი სიგანე-სიფართით თავს აწევს პატარას, მაგრამ ისტორიულ ქარტეხილში დარკინ-ფოლადებულს, თავისუფალისა და დიადი ცხოვრებისთვის თავგანწირულს ქართველ ერს! თუ რამდენად უხშობს რუსეთი საქართველოს წინსვლის გზას, ეს 1905წ. დაამტკიცა. ამ წელიწადში კვლავად დაჰკვესა ქართველმა ერმა მასში დაუქრობლად არსებული ცეცხლი პოლიტიკურ-სოციალურ შემოქმედებისა, თამამად უარყო ძველი წესწყობილება და უფრო თამამად მოიწადინა ახალის დამყარება! თუ არა რუსეთი, ქართველი ხალხი გამარჯვებული იყო! კვლავ გარეშე უსწორმა ძალამ დაამარცხა ერი!! აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ მეტად ყალბია ის გავრცელებული აზრი, თითქო 905წ. მოძრაობას ჩვენში ეროვნული ხასიათი არ ქონოდეს. ნამდვილად კი რამდენად სოციალურ-პოლიტიკური იყო ეს მოძრაობა, იმდენად ეროვნულიც! თუ კი ეროვნული მხარე მიჩქმალული იყო, ეს მოხდა ბელად-პარტიების წყალობით, რომლებმაც ინტელიგენტური შიშიანობა ბუმბერაზ რუსეთის წინაშე ხალხში გადიტანეს და მით დაჩრდილეს, დაჩლუნგეს ეროვნული მხარე მოძრაობისა. იმ ადგილებში კი, სადაც ხალხი სტიქიურად მოძრაობდა და სადაც ვერ მიწვდნენ „ინტელიგენტები“ თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პროგრამებით“ თავისუფლება მოასწავებდა „რუსის განდევნას“ და „რუ-
სის განდევნა“ კი თავისუფლებას... ქართველი ხალხი მაშინაც კარგად გრ-
ძნობდა, თუ რამდენად საჭირო იყო მისი კეთილდღეობისათვის პოლიტი-
კური დამოუკიდებლობა, პოლიტიკური თავისუფლება! სხვა დროს უფრო
დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს და შეეცდებით ნათელყოთ ჩვენი
დებულება, ხოლო ახლა საჭიროდ მიგვაჩნია ამ გარემოებაზე მიუთითოთ
ქართველ ინტელიგენციას, როგორც ერის მეიდეოლოგეს, რათა უფრო
ღრმად ჩაუკვირდეს ხალხის ცხოვრებას, გაიგოს, შეისმინოს ერის გულის-
თქმა და შეეცადოს ამ გულისთქმის თეორიულ ფილოსოფიურ სისტემაში
ჩამოქნა-ჩამოყალიბებას. რამდენად შეასრულებს ამას ინტელიგენცია, იმ-
დენად მოიხდის მოვალეობას მშობელ ხალხის წინაშე და თავის თავსაც
ჰპოვებს ეროვნულად, კულტურულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი
უარყოფს მას, როგორც ხორცმეტს, როგორც გადაშენების ბაცილების
მატარებელს ნაწილს!,. მაშ, პოლიტიკურ-ეროვნულ დამოუკიდებლობას-
თან ერთად იდეოლოგიურ-თეორეტიული დამოუკიდებლობაც!!

---

## ტერიტორიის შესახებ.

გაზეთმა „სიმართლის ხმამ“ ამას წინეთ მოათავსა მოწინავე წერილი: „ტე-
რიტორია და ნაციონალიზმი.“

ჩვენ გვსურს პასუხი გავცეთ ამ წერილს, რათა დავანახვოთ მკითხველს,
თუ რამდენათ სიმართლეს მოკლებულია ეს წერილი და საზიზღარია ზნე-
ობრივი შინაარსით. საქართველოს პოლიტიკურ არსებობის და მაშასადამე
ტერიტორიის ისტორიული მტერი თავად-აზნაურობა იყო და არის კიდეც.
ამ ელემენტმა მისი ცხოვრებისამ დააუძლურა და დასცა ჩვენი ქვეყანა.
მაგრამ ბედმა ეს ერთი მტერი არ აკმარა საქართველოს, ეხლა მეორე
მტერი არა ნაკლბ მავნე, არა ნაკლებ ბოროტი გამოუჩნდა მას. ეს ახალი
მტერი რუსის სოციალ-დემოკრატიაა.

პირველმა მტერმა გადასცა საქართველო რუსეთს, გადასცა იგი პოლი-
ტიკურად და როდესაც ქართველი ხალხი აჯანყდა თავისუფლების დასა-
ცველად, ეს მტერი წინ გაუძღვა რუსებს და თავის მახვილით დაუმონავა
მას თავისვე ქვეყანა. მეორე მტერი უფრო უარესს სჩადის. ის ლამობს
ჩვენი ქვეყანა სამუდამოთ დაუმკვიდროს რუსეთს და მოსპოს მისი ეროვ-
ნული არსებობა და როცა ქართველი ხალხი ეროვნულათ იღვიძებს, რო-
ცა ხალხი თხოულობს ეროვნულ უფლებების აღდგენას თავის ტერიტო-
რიაზე, მაშინ იგი (ე.ი.მეორე მტერი) წინ მოუძღვის რუსეთის ხულიგა-
ნურ ცენტრალიზმს და სცდილობს მოსპოს საქართველოში თვით სუნთ-
ქვაც კი პოლიტიკურ თავისუფლების იდეისა.

ბევრი რენეგატი და საზიზღარი მოღალატე ჰყავდა საქართველოს, მაგ-
რამ ამისთანა საზიზღარი მოღალატე და რენეგატი, როგორც არის ჩვენი
სოციალდემოკრატია, მას თავის დღეში არა ჰყოლია.

აი დაუკვირდით ზემოხსენებულ წერილს. ავტორი არავითარ ზომას არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგავს, რათა დაამტკიცოს ქართველ ერს არა აქვს უფლება თავის ტერიტორიაზეო.

იგი ალბათ განგებ სცდილობს აუხვიოს გზა იურიდიულ მეცნიერობას, თუმცა კი პრეტენზია აქვს მეცნიერებაზე, და მიმართავს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

აი რასა ბრძანებს პატივცემული ავტორი; „.... არსებობს რუსეთის ტერიტორია, სადაც ძალაშია რუსული კანონი; არსებობს საფრანგეთის ტერიტორია, სადაც მართვა-გამგეობა საფრანგეთის კანონების თანახმათ წარმოებს. მარა არ არსებობს პოლონეთის ტერიტორია; ვინაიდან კი ხანია მოისპო პოლონეთის „რეჩ პოსპოლიტა.-----“

არც საქართველოს ტერიტორია არსებობსო ამბობს ავტორი და ნაციონალისტებს, რომელნიც მასზე უფლებას თხოულობენ, სულელებათ სთვლის. რისთვის მოუნდა წერილის ავტორს საერთაშორისო სამართლისთვის მიმართვა, ეს ადვილი მისახვედრია, მხოლოდ ვისაც სურს ამისთანა საკითხი, როგორც არის ერის უფლებები, სინდისიერად გადაწყვიტოს და მეცნიერულად დაამტკიცოს, მან უნდა იურიდიულ მეცნიერების პრინციპებს მიმართოს. ჩვენც მივმართავთ მას და დავამტკიცებთ წერილის ავტორის შეცდომას. აი კონკრეტულად ამ უკანასკნელის აზრი: უფლება ტერიტორიაზე, ე. ი. სუვერენიტეტი მას ეკუთვნის, ვის ხელშიაც ფაქტიური ძალაა. ერს, რომელსაც არა აქვს ფაქტიური პოლიტიკური ძალა, არც უფლება აქვს არავითარ ტერიტორიაზე. თანამედროვე იურიდიულმა და სოციალურმა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ: პირველი, ნაცია არსებობს სახელმწიფოს გარეშე, იგი არის ისტორიული და არა პოლიტიკური კატეგორია, მეორე: სუვერენიტეტი განუსაზღვრელი კატეგორია კი არ არის, ისტორიული კატეგორიაა. ისტორია თვით სუვერენიტეტის შეგნებისა გვიჩვენებს, რომ იმ სახელმწიფოთ, რომელნიც ეხლა სუვერენულ სახელმწიფოებათ ითვლებიან, წინეთ არა ჰქონდათ ამისთანა ხასიათი. რას ვხედავთ, მაგალითად, მაშინ, როდესაც ეკლესია ბატონობდა სახელმწიფოზე? ის იყო სახელმწიფოს გარეშე მყოფი ძალა და ეს ძალა იყო თითქმის სრული ბატონი სახელმწიფოსი. იგი ნიშნავდა და სცვლიდა მეფეთ, მის ხელში იყო სამართალი და სასამართლო. მაშასადამე ეს იყო განმახორციელებელი თავის სუვერენიტეტისა ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა თვით სახელმწიფო. ახლა ისმის საკითხი: ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს უფლება ებრძოლა ეკლესიის წინაამღდეგ სუვერენიტეტის მოსაპოვებლათ? თუ ვკითხავთ „სიმართლის ხმას“, არა ჰქონდა, რადგანაც ფაქტიური ძალა იმყოფებოდა ეკლესიის ხელში. ეს გაზეთი ხომ თავის სტატიაში ფაქტიურ ძალას კანონს და უფლებას უთანასწორებს. იურიდიული თეორია კი გვეტყვის: სახელმწიფოს ჰქონდა სრული უფლება ებრძოლა სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, რადგანაც ეს შეადგენდა აუცილებლობას მისი ცხოვრებისათვის. როგორც ზემოთ ვსთქვით, წერილის ავტორი ფაქტიურ ძალას უფლებას უთანასწორებს და ამითი იგი აღვიარებს: პირველი, ძლიერის უფლებას და მეორე ,უფლებრივ გაყინვას, ვინაიდან იგი უარჰყოფს უფლების შეძენას მისთვის, ვისაც ფაქტიური ძალა ხელში არა აქვს. აქაც იურიდიული მეცნიერება წინაამღდეგს გვეუბნება. აი მისი პრინციპი: როდესაც ესა თუ ის პიროვნება მიაღწევს სრულ წლოვანობას, იგი სამარ-

ლის სუბიექტად ხდება. როცა ესა თუ ის ჯგუფი ადამიანთა გარდაიქცევა რაიმე ინდივიდუალურ ფიზიონომიად. (ნაციად, რელიგიოზურ სეკტად და სხ.) მას უფლება აქვს თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოლოს. აი რას გვიჩვენებს ისტორია საშუალო საუკუნეთა. როდესაც ქალაქი მაგრდება, ეკონომიურად ძლიერდება, იძენს საკუთარ თავისებურ სახეს, იგი აცხადებს თავის უფლებათ, ებრძვის მეფეს და იპოვებს თავის უფლებებს, პრივლეგიებს. „არა ჰქონდა ქალაქებს უფლება ებრძოლათ მისთვის, რაც ფაქტიურ გარემოებათა გარეშე იყო," იტყვის ბატონი ავტორი წერილისა. არც არის საკვირველი. ნათქვამია, როგორიც ალაო, ისეთი ჩალაო. როგორიც მეცნიერი, ისეთივე მეცნიერული აზრი.

აქ საკვირველი მხოლოდ ის არის, როგორ ამბობს ამას სოციალისტი; ის, ვინც პროლეტარიატის უფლებებს აღვიარებს მათ წინაამღდეგ, ვისაც დღეს ფაქტიურად ხელში უჭირავთ კერძო საკუთრების უფლება. პროლეტარიატი აღვიარებს თავის უფლებას წარმოებაზე. ავტორის თანახმად პროლეტარიატს ამის უფლება არა აქვს, რადგანაც ფაქტიურად წარმოება კაპიტალისტთა ხელშია, ისაა ერის სუვერენი და ბატონი იმ სამფლობელოსი, რომელშიც იგი ახორციელებს თავის სამართალს. დღევანდელი სახელმწიფოც ხომ სოციალისტების აზრით ბურჟუაზიული სახელმწიფოა, ბურჟუაზიის ხელშია, იგია სუვერენი და კანონმდებელია სახელმწიფოში. პროლეტარიატი კი იბრძვის მას ეს სუვერენობა ჩამოართვას. ყოველივე ეკონომიური ბრძოლა მასთანავე პოლიტიკური ბრძოლაა, ამბობს მარქსი. რას ნიშნავს პოლიტიკური ბრძოლა? მისწრაფებას პოლიტიკური ძალის და მაშასადამე სუვერენიტეტის ხელში ჩაგდებისადმი. რას იტყვის ამაზე „სიმართლის ხმა." სოციალისტები, რომელნიც აღვიარებენ ამ უფლებებს პროლეტარისა, დონკიხოტები არიან? არა აქვს პრლეტარიატს უფლება მოიპოვოს ის, რაც მას საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლად მიაჩნია? თუ აბსურდშიც სურს ლოღიკური დარჩეს, უნდა სთქვას რომ არა, თუ იტყვის ჰოს, მაშინ ზემოთ აღნიშნულ სტატიაზე უარი უნდა სთქვას და ის შეცდომის, უვიცობის ნაყოფად აღიაროს. ამისთანა ნაყოფი მრავალი გამოუღია ჩვენ სოციალ-დემოკრატიას და ერთით მეტი იქნება თუ ნაკლები, აბა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ახლა განვიხილოთ, აქვს თუ არა უფლება დამონავებულ ერს იბრძოლოს თავის ტერიტორიისათვის. სახელდობ ქართველ ხალხს. იმედია, „სიმართლის ხმას" იმდენი სიმართლის უნარი მაინც ექნება, რომ უარს ვერა ჰყოფს, რომ ქართველი ხალხი წარმოადგენს ნაციას. მაშასადამე თუ ქართველი ერი ნაციაა, იგი არის უკვე გაინდივიდუალებური, ჩამოყალიბებული პიროვნება. იურიდიული პრინციპი აღიარებს, რომ არ არის ისეთი პიროვნება (გარდა არა ნორმალურ პიროვნებისა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ადამიანის პიროვნება იყოს) რომელსაც არა ჰქონდეს უფლება სამართლის სუბიექტი იყოს. ყოველივე პიროვნებას იმ ფაქტით, რომ ის პიროვნებაა, აქვს უფლებები და სრული ნება თავის შელახული ან წართმეული უფლებები აღადგინოს.

პიროვნების უპირველესი, უძირითადესი უფლება რა არის ? ესაა უფლება თვით სიცოცხლეზე. ამ საკითხში იმდენად შორს მიდის იურიდიული მეცნიერებადა თვით პრაქტიკული კანონმდებლობაც კი, რომ აღიარებს ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნების უფლებას მოსპოს მეორე პიროვნება, თუ კი უკანასკნელი მის ცხოვრებლეს ემუქრება. ბევრი თეორეტიკოსი უფრო შორს მიდის. ისინი მართლებენ დანაშაულობას, თუ კი ეს დანაშაული აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ერის სიცოცხლე მხოლოდ ფიზიკური სიცოცხლე არ არის, თორემ მაშინ მონობაც ასატანელი იქნებოდა. ხომ სცოცხლობს მონა. ერის სიცოცხლე გამოიხატება მის ისტორიულ განვითარებაში. შეჩერდა მისი განვითარება — შეჩერდა მისი სიცოცხლე. ერის ისტორიული განვითარება არის: განვითარება მისი ენისა, მისი ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, სამართლისა, წარმოებისა და სხვა. ერთი სიტყვით მისი კულტურული გაზდისა, წარმატებისა. ნაცია, რომელიც მოკლებულია პოლიტიკურ ცხოვრებას და უცხოელის ბატონობის ქვეშ იმყოფება, მოკლებულია ამ კულტურულ განვითარებას. ქართული ენა დევნილია რუსეთისაგან, ქართული მეცნიერება მოსპობილია მისგან, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ქართული ლიტერატურა და ხელოვნება დაქვეითებულია, ქართული სამართალი არ არსებობს, ვინაიდან რუსული კანონია გაფეფებული და სხ. სხ. ეკონომიურად ქართველი რუსის მონაა და მას ემსახურება. ეს არის მოსპობა ქართველი ერისა. ამ მოსპობის თავის დაღწევა ეს თავისუფალი სახელმწიფოს მოპოვებაა. ვინაიდან მხოლოთ სახელმწიფოს შეუძლიან უზრუნველჰყოს ეროვნული განვითარება. მაშ არა აქვს ქართველ ერს „ნება", როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ავტორო წერილისავ, იბრძოლოს თვით სიცოცხლისათვის? კარგი, ვთქვათ, ეს საწყალი საქართველო იმ ბებერ ლომად მიიჩნიეთ, რომელსაც „თქვენც" წიხლები ჩაარტყით, მაგრამ ამ იურიდიულ მეცნიერებას რაღას ერჩით, რომ ამისთანა საშინელ ცილსა სწამებთ, ვითომ ის უარსა ჰყოფდეს ერის უფლებებს?

მეორე უფლება ერისა, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული პირველთან, ეს არის უფლება თავის ტერიტორიაზე. ვინაიდან ერს აქვს უფლება იბრძოლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღსადგენად, მაშასადამე მას აქვს უფლება იბრძოლოს თავის ტერიტორიისათვის, გამოაცხადოს თავისი უფლება მაზედა. თუ ქართველი ხალხი ნაციაა და მაშასადამე სამართლის სუბიექტი, მაშ როგორ შეგიძლიანთ ბრძანოთ, მას არა აქვს უფლება იმ ტერიტორიაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მას ეკუთვნოდა, რომლისათვისაც დაღვარა ზღვა სისხლი, რომელიც დაიცვა ისტორიულათ და რომელზედაც დღესაც ცხოვრობს? ერთს მოგახსენებთ, ქართველ ერს კი არ დაუკარგავს ეს უფლებები და არამედ მის უზენაეს უფლებებს შეადგენს ეს, მაგრამ ქართველმა სოციალდემოკრატებმა კი დაჰკარგეთ უფლება, პირველი, ქართველობაზე და, მეორე, კულტურულ ადამიანობაზე. ქართველობაზე, რადგანაც თქვენ უარყავით და უარყოფთ ყოველივე ეროვნულ აზრს, ეროვნულ მისწრაფებას, როგორც ჩვენი თავადაზნაურობა, უარსა ჰყოფთ რუსეთის სასარგებლოდ ყოველივე საქართველოს უფლებებს და ამითი უარსჰყოფთ საქართველოზე და საქართველო თქვენზე; კულტურულ ადამიანობაზე, მიტომ რომ მოშორებული თქვენ ერს ვერც ერთ ერს ვერ შეეკედლებით, როგორც ღამურა ვერ შეეკედლება ვერც თაგვებს, ვერც ფრინველებს, რადგანაც დღეს ყოველივე კულტურული ადამიანი ეკუთვნის რომელიმე ერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნე ნაციათა ბრძოლის, მოძრაობის საუკუნე იყო. რამ-დენადაც ნაცია ფორმაციაში მოდის, იმდენათ ნაციონალური იდეები ვი-თარდებიან. ნაციონალური იდეები მიისწრაფიან თავისუფალ სახელმწიფოს მოპოებისაკენ. შემდეგ ეს იდეები იქცევიან ბრძოლათ უცხოელების ბა-ტონობის წინააღმდეგ. მეთვრამეტე საუკუნეში ვხედავთ, როგორ იბრძ-ვის ჩრდილოეთი ამერიკა თავის ტერიტორიაზე საკუთარი სუვერენიტე-ტის განსახორციელებლათ ინგლისის წინააღმდეგ და იმარჯვებს კიდეც.

მეცხრამეტე საუკუნეში იბრძვის ამავე მიზნისთვის იტალია ავსტრი-ის წინააღმდეგ, იბრძვიან ბალკანეთის სახელმწიფონი ოსმალეთის წინააღ-მდეგ და იპოვებენ თავისუფლებას, და სხვა და სხვა. მაშ არ ჰქონდათ ამ ერებს უფლება ებრძოლათ? მაშ ამ ერების წინამძღოლი ნაციონალი-სტები დონკიხოტები იყვნენ, ან უკანონოთ იქცეოდნენ? მაშ მთელი ამ ერების მისწრაფება და ბრძოლა არა უფლებრივი იყო? წერილის ავტო-რის აზრით, ეს ბრძოლა უფლებრივი არ იყო. არ ვიცი, ამისთანა აზრი საქართველოსადმი ბოროტგანძრახვას მივაწერო თუ უვიცობას, სჯობს ისევ უვიცობას მივაწეროთ, რადგანაც ეს უფრო საპატიებელია საერთოდ და მეტადრე ჩვენი მორუსე სოციალ-დემოკრატებისათვის.

---

## „რეალური ტერიტორია „(?!).

საკვირველი მოვლენის წინაშენი გავხდით ამ მოკლე ხანში: ქართველი მოაზრე საზოგადოების ნაწილმა ერთი მართლაც არა ჩვეულებრივი პრი-ნციპი წამოაყენა და გაჰხადა იგი სახელმძღვანელოდ ჩვენი მიწა — წყლის, ჩვენის სამშობლოს ბედისა და საფუძვლის დაცვის საქმეში. წარმომადგე-ნელნი ამ უცნაურის მიმართულებისა ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია მო-ღალატეებათ და სამშობლოს მტრებათ, როგორც ჩვენში გაცხარებულ პა-ექრობის დროს სჩვევიათ მოწინააღმდეგათა მონათვლა, მაგრამ ის კი ცხა-დია ჩვენთვის, რომ მთელ ამ მიმართულებას აზის ფრიად უსიამოვნო ბეჭედი პოლიტიკურის უსუსურობისა, დაუფიქრებლობისა და ბავშური აზროვნობისა. და ეს სხვათა შორის იმიტომაც, რომ ჩვენი პოლიტიკუ-რი მოღვაწე თვით საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ნიადაგზედ კი არ არის აღმოცენებული; მისი აზრი, მისი პროგრამა ჩვენ პოლიტი-კურ საჭიროებათაგან კი არ გამომდინარეობს, მისი იდეალი ქართველი ერის მომავალ სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვი-თარების მატარებელი კი არ არის, არამედ მთელი მისი მსოფლმხედვე-ლობა და პოლიტიკური სიბრძნე უცხო თეორიებისა და ცუდათ გაგებულ განყენებულ მეტაფიზიკურ ცნებათა უხეირო შეთვისების ნაყოფია.

როდესაც მათ პაექრობას ვადევნებთ თვალყურს იმ მიმართულების წინააღ-მდეგ, რომელსაც სამართლიანად არა სწამს რა „რეალური ტერიტორი-ისა“ და „რეალური მოსახლეობისა„ , ნათლად გვიდგება თვალწინ ზემო-აღნიშნული თვისება ამ უცნაურ პოლიტიკოსთა. თვალნათლივ ეტყობათ, რომ უცხო თეორიებით შეუგნებლად სარგებლობენ: — ისეთი თეორიე-ბით, რომელიც აღმოცენებულა სულ სხვა ნიადაგზე, — ნიადაგზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც არავითარი მსგავსება არა აქვს საქართველოს ნიადაგთან,-არც კანონიერ უფლებათა მხრივ, არც თანამედროვე მდგომარეობის მხრივ. არას ვიტყვით დასელებზედ, რომელთაც სულ არა სწამთ ტერიტორია საქართველოისა, რადგანაც მათი აზრით იგი არ არსებობს ნამდვილად, არ არსებობს თვით ქართველი ერი ეთნოგრაფიულადო, და რადგანაც რუსის კანონი არის იქ გაბატონებულიო (მათ პოლონეთის ტერიტორიასაც წაართვეს ამგვარად არსებობის უფლება!). და ეს სულ ინტერნაციონალიზმის სახელით, იმ ყალბად გაგებულ ინტერნაციონალიზმის სახელით, რომელიც თითქოს სწორედ ერთა უფლების დაცვის პრინციპი არ იყოს! ერთა უფლების უარყოფაა სწორედ ინტერნაციონალიზმის უარყოფა, და ვინც უარყოფს ერის უფლებას საკუთარ ტერიტორიაზედ, აქაო და გაბატონებული სახელმწიფო არის ამ უფლების მესაკუთრეო,-იგი ლოღიკურად ვერ აცილდება გაბატონებულ სახელმწიფოს იმპერიალიზმს, და მართლაც ჩვენი დასელები ნამდვილად ისეთივე რუსის იმპერიალისტები არიან, როგორც ყველა ჭეშმარიტი რუსი იმპერიალისტი. ვინც უარყოფს დათრგუნვილ საეკლესიო უფლებათა აღდგენას, აქაო და ავტოკეფალია ეკლესიისა კლერიკალიზმიაო, იგი ლოღიკურად გაბატონებულ სახელმწიფოს კლერიკალიზმს უწყობს ხელს, და მართლაც ჩვენი დასელები დღესვე იმასვე სჩადიან, რასაც რუსეთის სინოდი—უარყოფენ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებასა.—ვინც ტერიტორიას კერძო საკუთრებად სთვლის და ამბობს-ტერიტორიის დაკარგვა კერძო საკუთრების ბაზარზედ გამოტანააო, იგი ლოღიკურად ხელს უწყობს გადმოსახლებასა და გარუსების პოლიტიკას, და ძართლაც ჩვენი დასელები, 1903 წლიდან, როდესაც მათ პირდაპირა სთქვეს—ჩვენ გადმოსახლების წინააღმდეგ პრინციპიალურად არაფერი არა გვაქვს რაო, დღევანდლამდე, როდესაც ისინი რუსის საგლეხო ბანკებისა და სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ არ იბრძვიან ჩვენი მიწაწყლის დასაცავად,—ორნაირად უწყობენ ხელს სწორედ იმ მშობელი ხალხის ეკონომიურ განადგურებას, რომლის დამცველებადაც ისინი გამოდიან და აგრეთვე სწორედ იმ საერთაშორისო ძმობასა და ერთობას უთხრიან ძირს, რომელიც მათ მუდამ აკერიათ ენაზედ, რადგანაც საერთაშორისო ძმობა და ერთობა შეუძლებელია იქ, სადაც ერთი ერი მამაპაპეულ სამშობლოს, არსებობის წყაროს ართმევს მეორეს ძალითა თუ ფულით —ეს სულ ერთია.—და როდესაც ავსტრიის ებრაელებმა შექმნეს უმსგავსო თეორია „კულტურულ ეროვნულ“ ავტონომიისა და ჩვენი დასელების ერთმა ნაწილმა, ეროვნული საკითხის გადაწყვეტით იძულებულმა, ამ მართლაც უაზრო ბავშვობაში დაინახა ხსნა, ესეც იმის მომასწავებელი არ არის, რომ მათ საკუთარი თავი არ აბიათ, არ შეუძლიათ თავის თვალწინ განიხილონ თვალსაჩინო მოვლენანი ჩვენის ეროვნებისა და ქართველი ერის მდგომარეობისა და საჭიროების მიხედვით შექმნან ეროვნული პროგრამა და არ დაებღაუჭონ იმას, რაც ოტტო ბაუერისა და შპრინგერის მეტაფიზიკას შუქმნია? მაინც და მაინც ქართველებიც ებრაელების მდგომარეობაში უნდა იყვნენ, სულ ერთია, ნამდვილად არიან თუ არა გაებრაებულნი მდგომარეობითა?—თუ ამისთვის დასჭირდათ საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობის და მისი ტერიტორიის არსებობის უარ-ყოფა, რომ ებრაელებს არა აქვსთ არც ერთი და არც მეორე, და რადგანაც ებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაელებს არა აქვსთ, არც ქართველებს უნდა ჰქონდესო „საერთაშორისო სოლიდარობის“ ძალითო? ამიტომ ახვევენ თავზე საქართველოს ებრაულ პოლიტიკურ პროგრამას?..

ფედერალისტების იდეიური უსუსურობაც ეს სხვისი სიბრძნის ძებნაა, სულ ერთია სად და რომელ ნიადაგზეა ეს სიბრძნე აღმოცენებული. ერთის მხრით ავტონომია, ე.ი. ამა თუ იმ სახით აღდგენა საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობისა განსაზღვრულ ტერიტორიაზე,-მეორეს მხრით ამ ტერიტორიის მთელი მაზრების სხვისთვის დათმობა,-რადგანაც იქ უცხოელები სჭარბობენ ქართველებსა,-და „რეალური“ ტერიტორია, ე.ი. ის ნაწილი საქართველოსი, სადაც ქართველობა სჭარბობს უცხოელებსა. პოლიტიკური სიბრმავე, პოლიტიკური სიბავშე ამაზედ შორს ვერ წავა, და არა გვგონია სადმე ვისმეს ასეთი უცნაური რამ გამოეთქვას, თუ კი მართლა ჰქონია სერიოზული პოლიტიკური პროგრამა და სერიოზულად ყოფილა მსურველი ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზმის შექმნისა ან აღდგენისა. აქაც შიშია „სხვისი“ დაჩაგრვის, აქაც შიშია „საერთაშორმსო ძმობისა და სოლიდარობის დარღვევისა“, „აგრესიული ნაციონალიზმისა“ „იმპერიალიზმისა“ და სხ.-ე.ი. შიში იმ ყურ—მოკრულ სიტყვათა და ლოზუნგთა წინაშე, რომელნიც ან ყალბად არიან გაგებულნი, ან და მათ სრულიად არავითარი ადგილი არა აქვსთ ჩვენში. აქაც სრული არარაობა იმ სახელმწიფოებრივ აზრისა, ურომლისოდაც არავითარი პოლიტიკური პროგრამის შექმნა არ შეიძლება, განსაკუთრებით თუ ის სახელმწიფოებრივი აზრი თვით ქვეყნის მდგომარეობიდან და საჭიროებათაგან არ გამომდინარეობს.—„რეალური მოსახლეობა“ და „რეალური ტერიტორია“ პირდაპირ უარჰყოფს ერის პიროვნებას და მის უფლებას ჰქონდეს ეროვნული, საზოგადო საკუთრება მიწისა, სადაც უნდა არსებობდეს მისი სახელმწიფო, ავტონომიის სახით იქნება იგი თუ სრული სუვერენიტეტის სახით. დღეს ჯავახეთი, საბარათიანო და სამცხე უნდა მოსჭრან საქართველოს, რადგანაც იქ უცხონი სჭარბობენ (თუმცა სამცხეში დღეს ქართველები სჭარბობენ—მუსულმანი ქართველები,) ხვალ დამონებულსა და უფლება ახდილ ერს არავითარი გარანტია არა აქვს, რომ მეორე მაზრას არ ჩამოაჭრიან იმავე მიზეზით,—თუ მაგალითად რომელიმე კუთხეში მთავრობამ კოლონიები გაამრავლა და ცალკე მაზრად გამოჰყო კოლონისტების ტერიტორია. შემდეგ კიდევ მესამე მაზრას მოსწყვეტენ ამ გვარად ეროვნულ ტერიტორიასა და ბოლოს და ბოლოს საზღვარი იქ დაედება ამ პროცესს, სადაც აღარ იქნება საკოლონიზაციო მიწები, ე.ი. როდესაც მთლად გამოგვაცლიან ხელიდან სამშობლოს რამდენიმე მჭიდროდ დასახლებული მაზრის გარდა. და „რეალისტებმა“ ხმა უნდა გაკმინდონ, რადგანაც თავიანთივე იარაღით იქნებიან დამარცხებული. ჯავახეთი და სამცხე სომხებით რუსის მთავრობამ აავსო. ბათუმის ოლქში და სოხუმის ოლქში ამგვარსავე პოლიტიკას ეწევა. ეგრედ წოდებულ „სამუხაჯირო ადგილებზედ“ ძლიერი კოლონიზაცია რომ ვერ მოახერხა რუსებისა, მთავრობა კერძო პირებზე ჰყიდის მიწებს და აქაც უცხოელები ესახლებიან. კახეთში კოლონიებს აწყობს და ხელოვნურად ჰქმნის ერთიან ტერიტორიალურ ზოლს, სადაც რასაკვირველია კოლონისტები მეტნი არიან ქართველობაზდ. ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ „ადმინსტრატიული“ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრებით მთავრობამ გამოჰყო ეს ადგილები ცალკე მაზრებად, რადგანაც ერთობ „დიდად“ მოეჩვენა თელავის, ან სიღნაღის, ან რომელიმე სხვა მაზრა. ამ ახალ მაზრაში, რასაკვირველია, უცხოელები მეტი იქნებიან ქართველებზედ და „რეალისტებმა“ უნდა სთქვან: ვსწუხვართ, ცრემლს ვაფრქვევთ, რომ დავკარგეთ მამაპაპეული ადგილები, მაგრამ რას ვიზამთ „რეალურად“ იქ დღეს ქართველობა აღარ სცხოვრობს, სამართლიანად თუ ისამართლოდ დღეს ის მხარე უცხოს ეკუთვნის და მათ „უბედურებაზედ“ ვერ დავამყარებთ ჩვენს „ბედნიერებასო“! საქართველოში დღეს აუარებელი დაუსახლებელი მიწა—წყალია, აუარებელი მამული სახელმწიფოს ეკუთვნის, აუარებელს თავად—აზნაურობისგან ყიდულობს, და დღეს თუ ვერ ახერხებს ძლიერ კოლონიზაციას ჰავის უვარგისობისა და კოლონიზაციის საქმის მოუწყობლობის გამო, ხვალ შეუძლია მთელი ეს მამულები რუსებისთვის გამოსადეგ სამოსახლოდ გადააქციოს. გერმანელებმა მთელი მეცნიერება შექმნეს ექვატორის ჰავასთან შეგუებისა და იქაც კი ესახლებიან, და ხეირიანად მოწყობილი საკოლონიზაციო უწყება ჰაობების ამოშრობასაც მოახერხებს და მოკლე ხანში იმ „უვარგის“ ადგილთაგან მთელ მაზრებს შექმნის, სადაც ერთი ქართველიც არ იქნება; და „რეალისტმა“ იმავე „ცრემლის ფრქვევით“ უნდა უპასუხოს, მთავრობას, ან სომხებს შეუძლიანთ ერთი ქართველიც არ აჰყარონ, ერთი ქართველის საკუთრებაც არ მიითვისონ და ისე მოიკალათონ საქართველოს მიწა—წყალზედ და შეადგინონ არა თუ უმრავლესობა, არამედ წმინდა უცხო მოსახლეობა დღეს „უსარგებლო“ ადგილებში, შეუძლიანთ მთელი მაზრები შექმნან, შემოფარგლონ და თავიანთ საკუთრებათ გამოაცხადონ! დღეს მეცნიერებს ისეთი მეთოდები აქვსთ შემუშავებული, რომ ფულით და ადამიანის შრომით კლდეზედაც დაესახლება ადამიანი და შესძლებს კულტურულ ცხოვრებას, და თუ ამის უფლება ყველას მივეცით საქართველოს განაპირა თუ შუა ადგილებში, ჩვენი ტერიტორიიდან მართლაც „რეალური არარაობა“ დარჩება! რეალური ტერიტორია—კერძო საკუთრების პრინციპია. და ვინ გაანაწილა საქართველო კერძო საკუთრებად? როგორ შეიძლება პოლიტიკურმა მოაზრემ, სახელმწიფო ადამიანმა კერძო საკუთრებისა და კერძო მფლობელობის პრინციპები გაიხადოს სახელმძღვანელოდ სახელმწიფოს შექმნისა ან აღდგენის დროს? რაც ჩვენ გვაქვს საქართველოში, სადაც ჩვენ უმეტესობა ვართ, ის ჩვენია, მაგრამ რაც ჩვენ არ გვაქვს კერძო საკუთრების უფლებით—ის ვიღასია „რეალისტების“ აზრით? რაზედაც უცხოელები ასახლიან და ჰფლობენ სამცხეში და ჯავახეთში, აგრეთვე საბარათიანოში, ის მათია და არაფერს არავინ ედავება, მაგრამ რასაც არა ჰფლობენ, ის ვიღასია? ისიც მათია? თუ რუსის სახელმწიფოსია უმეტესი ნაწილი ამ ადგილთა? და რადგანაც რუსის სახელმწიფო დღეს უკანონოდ ბრის გაბატონებილი საქართველოში,—ხვალ, როდესაც ჩვენის პოლიტიკურის პროგრამებით, სხვა სახელმწიფო უნდა დაეპატრონოს ამ ადგილებს, რომელი იქნება ეს სახელმწიფო? სომხის ავტონომია? რა უფლებით უნდა მივართვათ სომხის ავტონომიას მთელი სამცხე, საბარათიანო და ჯავახეთი, რომლის უმეტესი ნაწილიც დღეს დაუსახლებელია და სადაც ითი ამდენი მოსახლეობა დაეტევა გაუმჯობესებული მიწათმოქმედების საშუალებით ისე, რომ ერთი სომეხიც არ აიყაროს დასახლებულ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიდან და ერთი ადლი მიწაც არ ჩამოერთვათ მათ იმ მამულიდან, რომელსაც ჰფლობენ? ვინ დაუმტკიცა კოლონისტებს მთელი მაზრები, უდიდესი ნაწილი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიისა? ისინი არიან იქ მხოლოდ, როგორც კოლონისტები, კერძო მესაკუთრედ, და არა როგორც პოლიტიკური მფლობელნი ტერიტორიისა. და დღეს თუ რუსის სახელმწიფო ჰფლობს სახელმწიფოებრივად, პოლიტიკურად ამ ტერიტორიას, ხვალ მისი მემკვიდრე უნდა იყოს საქართველო და არა სომხეთი, ან სათათრეთი. ამას გვუბნება პოლიტიკური იდეა, სახელმწიფოებრივი მოსაზრება. სხვა კანონიერი მემკვიდრე არა ჰყავს სამცხესა, ჯავახეთსა, და საბარათიანოს, როგორც ულსტერს არა ჰყავს სხვა პოლიტიკური მემკვიდრე თვინიერ ირლანდიის ავტონომიისა. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩვენში არავითარი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იდეა არ არის, და პუბლიცისტსაც კი ვერ გაურჩევია ორი სრულიად სხვა და სხვა ცნება —საკუთრება ეროვნულ—პოლიტიკური და საკუთრება კერძო. ვერ შეუგნია, რომ შესაძლებელია კერძო საკუთრებას უცხოსას არ შეეხო, მაგრამ პოლიტიკურ საკუთრების გაცემა არავის არ შეუძლია მთელი ერის უფლების შეულახველად; ვერ შეუგნიათ, რომ თუ დღეს რომელიმე მაზრაში უმრავლესობა მცხოვრებთა უცხოელთაგან შესდგება, ხვალ მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ მეთოდებით აღჭურვილ სახელმწიფოს შეუძლია უმეტესობა შექმნას ეროვნულ ელემენტებისა იმავე ადგილებზედ ისე, რომ ერთი უცხოელის კერძო საკუთრებასა და მფლობელობასაც სრულიად არაფერი არ ჩამოაკლოს. ერის საკუთრება სამართლიანობის თვალთსაზრისით ის კი არ არის, სადაც მას ოდესმე დაპყრობის პოლიტიკა უწარმოებია, არამედ ის, სადაც მას საუკუნოებით უცხოვრია, დაუტოვებია აუარებელი კულტურული ნაშთი, სადაც დღესაც არის მისი სული დარჩენილი მკვდარ ნაშთებში მაინც, სადაც კიდევ არიან დაცულნი საფლავნი მისი მამა—პაპათა, სადაც ოდნავ მაინც კიდევ გაისმის მისი ენა, სადაც კიდევ არ გამქრალა სრულიად მეხსიერება დიდებულის წარსულისა და მთელი დანარჩენ კიდევ ცოცხალი ერისადმი კუთვნილობისა, სადაც კიდევ არის გაბმული სულიერი კავშირი საფლავში მდებარეთა და მათ შთამომავალთა შორის. ამიტომ ტყვილა გვითითებენ საქართველოს იმპერიაზედ, რომელიც ერთ დროს გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ტყვილად ლაპარაკობენ ქართველთა „ნაციონალისტების“ „იმპერიალიზმზედ.“ ესეც უცხოთაგან გაგონილი სიტყვაა, უცხო პარტიათა დახასიათება, გადმოტანილი სრულიად უსაფუძვლოდ ქართველებზედ,—უცხო წიგნებში და ჟურნალ—გაზეთებში ამოკითხული, არც ერთ ქართველ ნაციონალისტს აზრად არა აქვს საქართველოს მთელი კავკასია დაუბრუნოს, მას რომ ეჭირა ერთ დროს, არამედ მისთვის ისტორიული საქართველო ის არის, სადაც განვითარდა საქართველოს კულტურა, სადაც ქართველობა ისტორიულად დამკვიდრებული იყო, სადაც დღესაც არის ქართველობის უმეტესობა, ან უმცირესობა, ან ცოცხალი კვალი მისი სიძლიერისა და კულტურისა, სრულიად ახლო წარსულში დაცემულისა მუდმივ შემოსევის წყალობითა. და ეს ისეთი ადგილებია, სადაც სულ მოკლე ხანში ისევ აღორძინდება ქართველობა ცოტაოდენი პოლიტიკური თავისუფლების დროსაც კი. შემდეგ,—რა იმპერიალიზმზედ შეიძლება ჩვენში ლაპარაკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესაც იმპერია კი არა, მოქალაქეთა უბრალო თავისუფლებაც არ მო-
ეპოვება უცხოთაგან დამონებულთა. იმპერიალისტური პოლიტიკა მხო-
ოდ იმპერიის მქონე ერებს შეუძლიათ აწარმოვონ, არა დამონებულთა.
ა როდესაც იმპერიალისტურ ნაციონალიზმზე ლაპარაკობენ ევროპაში ან
უსეთში, მაშინ ინგლისის, გერმანიის ან რუსეთის მთავრობა აქვსთ სა-
ში, რომელთაც მიზნად გაუხდიათ დამპყრობ ერის მიერ უზომო ექსპლო-
ტაცია და დამონება დაპყრობილ ერთა. ჩვენ კი თვითონა ვართ „დაპყ-
ობილიცა“ და მიწასთან გასწორებულიც, და განა რომელიმე პოლიტი-
ურმა პარტიამ იდეალად რომ დაისახოს საქართველოსათვის იმ ქართულ
როვინციათა დაბრუნება, რომელნიც საქართველოს ეკუთვნოდა ახლო
წარსულში და დღესაც შეუძლებელია, რომ მათ ხვა კანონიერი მემკვიდრე
ყავდეს თვინიერ საქართველოისა,—განა ეს „იმპერიალიზმია“?—არა, იგი
ორულიად წინააღმდეგი მოვლენაა იმპერიალიზმისა, მაგრამ სხვისაგან ნასე-
სხებ, ყალბად გაგებულ უცხო სიტყვებს რაღაც უცნაურ შინაარს აძლევენ
პოლიტიკურ აზროვნებას მოკლებულნი პუბლიცისტები საქართველოისა,
და თვითონაც რომ არ ესმით, რასაც ლაპარაკობენ, სხვამ, მათმა მკითხ-
ველმა და მორწმუნემ რაღა უნდა იფიქროს, მათ როგორიღა პოლიტი-
კური სიბრძნე უნდა მოსთხოვოთ?—„აგრესიული ნაციონალიზმი“!—ესეც
ნასესხები სიტყვაა; მხოლოდ ცალიერი სიტყვა. ჩვენი პუბლიცისტების
თავში ერთხელაც არ გაუელვია აზრს, რომ გაესინჯათ მისი შინაარსი
ჩვენ პირობათა მიხედვითა და ჩვენ ეროვნულ მიმართულების წარმომადგე-
ნელთა აზრით. აქაც გაუგონიათ, რომ დიდ სახელმწიფოში არიან ისეთი
ელემენტები, რომელნიც სცდილობენ, ძალით, მზა და ძლიერ სახელმწიფო
ორგანოებით წაართვან დამოუკიდებლობა მეზობელ სუსტ ერებს, ან კი-
დევ მეტად შეავიწროვონ მათ საზღვრებში მოქცეული ერები. ეს არის აგ-
რესიული ნაციონალიზმი. და რადგანაც ჩვენ არც სახელმწიფო გვაქვს, რომ
მეზობლები დავსცეთ, და არც ისეთი შინაგანი სიძლიერე, რომ შინ მყოფი
უცხოელები შეავიწროვოთ, მეტია „აგრესიულ ნაციონალიზმზე“ ლაპარა-
კი. მხოლოდ გულ—უბრიყვლოთა შესაშინებლად გამოდგება იგი, და
როგორც პოლიტიკურ ტერმინს ჩვენში მას არავითარი აზრი არა აქვს.
ის კი არა და ჩვენ თვითონა ვართ მსხვერპლნი ამ „აგრესიული ნაციონა-
ლიზმისა“ საუკუნეთა განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ დროს.
რუსის მთავრობასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო სომეხთა გაძლიერება
რა დღეს აყენებს ისედაც დაბეჩავებულ საქართველოს. არც სომხებსა აქ-
ვს სახელმწიფო და პირდაპირ არ გამოუცხადებიათ ომი ქართველობისა-
თვის, არც სომხის სახელმწიფოში ვართ მომწყვდეულნი, რომ მათ ჩვენ
წინააღმდეგ აწარმოვონ რაიმე სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ამიტომ
მათ არ შეუძლიანთ „აგრესიული ნაციონალიზმი“ გამოაჩინონ ქართველ-
თა წინააღმდეგ, მაგრამ სომხობის გაძლიერება ჩვენში მაინც დიდი უბე-
დურობაა საქართველოსათვის, რადგანაც იგინი აქ ჩვენში იმაგრებენ ფე-
ხს, ჩვენში შეუძლიანთ განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური იდეალი,
და თუ ოდესმე მიაღწიეს ოდნავ პოლიტიკურ—ეროვნულ უფლებას, მა-
შინ უყურეთ მათ „აგრესიულ ნაციონალიზმს“ ქართველთა წინააღმდეგ.
დღეს კი ისინი იქ იჩენენ ასეთ ნაციონალიზმს, სადაც უფლება აქვსთ კა-
ნონისგან უკანონოთ მინიჭებული—სარწმუნოებრივ სფეროში: დაკანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულ სომხური ტიბიკონის წყალობით მთელ კათოლიკე ქართველთა გასომხებასა სცდილობენ. ხოლო იმ სფეროში, სადაც უფლება არა აქვსთ, ისინი პირდაპირ იბრძვიან უპირატესობისათვის და ადგილების შესყიდვით, რუსის მთავრობის დახმარებით აცლიან საქართველოს საუკეთესო ადგილებს, რომ ჯერ დამკვიდრდენ და მერე აგრესიული ნაციონალიზმის უფლება და შეძლებაც მოიპოვონ!—ასეთია დღეს ნამდვილი მდგომარეობა საქართველოსი, დღეს ჩვენ თვითონა ვართ მსხვერპლნი რუსეთის იმპერიალიზმისა, აგრესიული ნაციონალიზმისა, აგრეთვე სომხის ფულისა და ჩარჩობისა და მათი მომავალი აგრესიული ნაციონალიზმისაც, როდესაც იგინი სხვის სახლში გაბატონდებიან. და ჩვენ კი გვგონია ჩვენვე ვაწარმოებთ ამ პოლიტიკას, თუ სრულიად კანონიერად დავისახეთ იდეალად დაბრუნება იმ ადგილთა, რომელნიც საქართველოს ერის საკუთრებას წარმოადგენენ. კოლონისტებს საქართველოს ეროვნულ ტერიტორიაზედ ყოველნაირი უფლება აქვსთ--უფლება საკუთრებისა მამულზე, კერძო და სასოფლო—საქალაქო, უფლება სარწმუნოებისა და ენის დაცვისა და სხვა,—მხოლოდ არა აქვსთ ერთი უფლება,—უფლება პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, რომ მთელი მაზრა, მთელი კანტონი, მთელი ნაწილი ტერიტორიისა მათ ეკუთვნოდესთ.--შემდეგ,—ნაციონალიზმი კი არა, ყოველი იდეა „აგრესიულია,“ რამდენადაც იგი მებრძოლი და მომქმედია იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც მას განხორციელებას უშლის. რომელიმე ნაციონალიზმის ნაკლი მისი „აგრესიული“ თვისება კი არ არის, არამედ მისი უსამართლობა, უკანონობა და სხვის უფლებათა დათრგუნვა ძალითა. ჩვენა ვართ მსხვერპლნი, კიდევ განვიმეორებთ, ასეთის „აგრესიისა,“ და არა რუსის მთავრობა და არც სომხობა, არც სხვა ვინმე, ვისაც ჩვენ მიწა--წყალზედ მოუკალათნია და კერძო საკუთრების უფლების გარდა პოლიტიკურ უფლებათა პრეტენზიებიც აქვს. ხოლო როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხოლოდ და მარტო ქართველ ერს აქვს უფლება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ უფლებისა ქართულ ტერიტორიაზედ, მიუხედავად იმისა ნაკლებია თუ მეტი ქართველთა რიცხვი ამა თუ იმ მაზრაში, ჩვენ მართალ სამართალსა ვთხოულობთ, ჩვენ უფლება გვაქვს და ოდნავადაც არ ვეხებით სხვისას,—ვიცავთ ისეთ უფლებას, რომლის უარყოფაც არა თუ დიდი პოლიტიკური უგუნურობა, არამედ პოლიტიკური თვითმკვლელობა, საუკუნოდ დამარხვა ყოველივე პოლიტიკურ იდეალისა, სრული უარყოფა იმ პოლიტიკური პროგრამისა, რომელსაც ჩვენი სხვა და სხვა პარტიები სხვა და სხვა სახით აწვდიან ქართველ ერსა.-კოლონისტების უფლებრივი საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არა სცილდება საკუთრებისა და დემოკრატიულ სახელმწიფოში სასურველ სხვა უფლებათა საზღვარსა, ხოლო მათ პოლიტიკურ—ეროვნულ უფლებათა შესახებ ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია საქართველოს საზღვრებში.

... გვეტყვიან,—და სამართლიანადაც,—ვინ გვაძლევს ან ავტონომიას, ან პოლიტიკურ თავისუფლებას, ან სად შეგვიძლია დღეს საქართველოს ტერიტორიის ბედი ისე განვაგოთ, როგორც ჩვენა გვსურსო. დღეს რომ ხელიდან გვაცლიან ტერიტორიასაც და ყოველისფერს ეროვნულს, აი მის დაცვის საშუალებაზედ მიგვითითეთო!—მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში დღეს თეორიულადაც ვერ შეუგნიათ სრულიად მარტივი და უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალო ცნობანი და საუბედუროდ იმაზედ უნდა ვიმსჯელოთ, ვიღაღადოთ ყოველ დღე, რაც სხვისთვის დღესავით ნათელია და უმარტივესი ჭეშმარიტება. რაღაც ბიზანტიური თვისების თეორიული ქავილი აქვს დღეს ავარდნილი ქართველ მოაზროვნე საზოგადოების ტვინსა და სხვა და სხვა დაბრკოლებასთან ერთად ესეც ძლიერ გვიშლის ხელს პრაქტიკულ მუშაობაში და სრულიად უმწეონი ვართ წინააღმდეგობა გავუწიოთ კარზედ მომდგარ ათას მტერსა და ათას განმანადგურებელ პირობას. თვით სოციალიზმი ბიზანტიურად შევითვისეთ. მაჰმადიანები რომ კონსტანტინეპოლის კარზედ იდგნენ, ბიზანტიის „აზრის“ მატარებელნი მეტაფიზიკურ და თეოლოგიურ მსჯელობაში იყვნენ, ხოლო ბევრმა კათოლიკე ევროპის დახმარებაც კი უარჰყო და პაპის წინადადებაზედ განაცხადა: მაჰმადიანის დოლბანდი გვირჩევნია პაპის გვირგვინსაო! და ჩვენი დასელებიც ვერა ჰხედავენ, რომ თუ დღესვე მთელი მათი ენერგია არ შესწირეს საქართველოს ტერიტორიის დაცვას, მის მომავალ დამოუკიდებლობას მტკიცე საფუძველი ვერ მოუპოვეს, ჰქრება თვით ქართველი ხალხის ეროვნება, ქრება და იბნევა თვით ის მშრომელი ხალხი, რომლისთვისაც ისინი იღწვიან, მაშასადამე ჰქრება ქართველი ხალხისთვის თვით პრობლემა სოციალიზმისა და იგი სხვა ხალხის პრობლემად რჩება, რომელიც საქართველოში გაბატონდება ქართველთა ნაბუდარზედ. მაგრამ ბიზანტიური, მკვდარი სოციალიზმი სწორედ ამას ამბობს: თვით პრობლემა სოციალიზმისა ხომ არ მოისპობა, თვით იდეა ხომ დარჩება, და სულ ერთია ქართველი პროლეტარიატი განახორციელებს მას თუ სხვა რომელიმეო. მანამდის კი ენით გამოუთქმელი ტანჯვა სწორედ ამ ქართველ პროლეტარიატისა და გლეხობისა, ტანჯვა და წამება, რომელიც დიდხანს გრძელდება, სანამ ერი სულს დალევდეს ხოლმე, შემდეგ კი ვინ იცის როდის, ან რა ფორმით განხორციელებული სოციალიზმი,—საუკუნოთა შემდეგ—,აი რა რჩებათ დასელებს და მათ მსგავსს სოციალისტებს მომავალში! ასეთივე ბიზანტიზმი ახასიათებს სხვა პარტიებსა. ყველას ჰგონია ჭეშმარიტების მატარებლად მხოლოდ თავის თავი, და ოდვად მიაჩნია თავისი „რწმენის“ „შეცვლა“, თუ გინდ ათასჯერ დაუმტკიცოთ, რომ მისი რწმენა არაფერზედ არ არის დამყარებული. აქედან წარმოსდგება ქართული ყოვლად უსიამოვნო პარტიობა, რომელსაც საშინელი ბეჭედი აზის ჯიუტობისა, გაზვიადებული თავმოყვარეობისა და ხშირად ბავშობისაც. ყველაზედ უარესი კი ის არის, რომ სიტყვით კმაყოფილდება ბევრი: სადაც საქმის გაკეთება არ შეუძლია, ან ეზარება, იქ თეორიულად იმართლებს თავს —ეს ჩვენი საქმე არ არის, ეს ჩვენ რწმენასა და თეორიას ეწინააღმდეგებაო და ამითი იმშვიდებს სინდისს. ასეთ იდეიურ სისუსტის დროს კი ყოვლად შეუძლებელია პრაქტიკულად მუშაობა. კარზედ მდგარ მტერს ვერც ჩვენი კაპიტალები, რომელიც არა გვაქვს, ვერც ჩვენი ბანკები, ვერც საგლეხო კომისიები ვერ გაუმკლავდებიან. ჩვენ ღარიბი ვართ, რომ რუსის მთავრობის მოწყობილ ეკონომიურ პოლიტიკას და სომხის საზოგადოების მიერ ჩვენს წინააღმდეგ მომართულ სომხის კაპიტალს გაუწიოთ წინააღმდეგობა აგრეთვე კაპიტალებითა. ერთად ერთი ჩვენი იარაღია დღეს ჩვენი ერთობა,—ერთობა იდეიური მთელი ერისა, ერის საუკეთესო ნაწილისა, რომელსაც სწამს, რომ ერმა უნდა იცოცხლოს და მომავალი თავისუფალი ცხოვრებისათვის საჭიროა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა-დიდება სამშობლოისა,—მისი მიწაწ-ყალი და ერთობ მისი სიმდიდრე,—
დღეს არ გაატანოს მტერს. სამშობლოს დაცვაში მუშამ, გლეხმა, ინტე-
ლიგენტობამ, —ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ყველა უნდა შეერთ-
დეს ერთის ძლიერის იდეით, რომ თუ საერთო სამშობლო დაიღუპა, მა-
შინ მთელი ერი იღუპება და მაშასადამე ჰქრება ყოველი პრობლემა, რო-
მელიც მას შეეხება: სოციალიზმი, კლასთა ბრძოლა, ინტერნაციონალი-
ზმი, ფედერალიზმი, ყოველივე იდეა უკიდურესად რადიკალური და უკი-
დურესად რეაქციონური—ყოველივე ჰქრება ერის სიკვდილის შემდეგ, და
რა მნიშვნელობა აქვს ან ერთს მათგანს, თუ კი იგი არ განხორციელდე-
ბა არასოდეს და თვით მისი განმახორციელებელი მომქმედი პიროვნების,
ერის სიკვდილი წინაუსწრებს სანეტარო პრინციპის ცხოვრებაში გაბატო-
ნებას! არასოდეს არ მომხდარა ისეთი სასწაული, რომ ერთ კლასს ერი
დაეხსნას სიკვდილისგან. კლასები შინაგან რევოლუციას ჰქმნიან და გა-
რდაქმნიან ერის სოციალურ ცხოვრებასა, ხოლო თვით ერის სიკვდილის-
გან ხსნა მხოლოდ თვით ერს შეუძლია. შევიგნოთ ეს მარტივი ჭეშმარი-
ტება ქართველებმა. არავინ არა ჰმალავს კლასთა შორის წინააღმდეგობას,
არავინ არ ურჩევს რომელიმე კლასს თავის კლასიურ ინტერესთა დავიწ-
ყებას,—მაგრამ შეერთება ერთ საკითხში, ერთ უმთავრეს პრობლემის გა-
დასაწყვეტად, რომელიც თვით ერის, **ე.ი. ყველა კლასთა თვით ყო-
ფნა—არყოფნის პრობლემაა**,—აუცილებელია, ერთად ერთი სა-
შვალება, რომ მართლაც მოვაწყოთ სერიოზული თავის დაცვა მტრის
წინააღმდეგ და ჩვენ დაკარგულ უფლებათა აღდგენა. იაზროვნოს ჩვენმა
პარტიებმა თავისი თავით, თავისი ჭკუით. უცხო პროგრამების გარეშეც
გადახედოს საქართველოს, მის მდგომარეობას, მოიცილოს თავიდან სრუ-
ლიად არაფერზედ დამყარებული თავმოყვარეობა და რწმენა შეუცდომლო-
ბისა, მოიშოროს თავიდან ბიზანტიზმი, ჩვენი დამღუპველი და განმანა-
დგურებელი იდეიურად, რაიც პირდაპირ მოქმედების შესაძლებლობასაც
კი ჰკლავს ჩვენს საზოგადოებაში, განიმსჭვალოს დღეს ერთად--ერთის
აზრით, რომ სამშობლოს ყოფნა—არყოფნის საკითხია დაყენებული და
მას უნდა გადაწყვეტა, რომ სულ არ დაიღუპოს საქართველო და ამით
არ გაქრეს ყოველივე სხვა საკითხი მის წიაღთა შინა—და მოუწოდოს
მთელ ქართველობას ერთად, ერთ ხმად: ქართველებს, განურჩევლად წო-
დებისა, სარწმუნოებისა, პარტიისა! სამშობლო განსაცდელშია! ერი გან-
საცდელშია! თუ იგი აღარ იქნება, არც ჩვენ, არც ჩვენი იდეები, ჩვენი
რწმენანი, ჩვენი პროგრამანი—აღარაფერი აღარ იქნება, და სიკვდილი
ყოველივეს შთანთქამს. მაშ შევერთდეთ ამ საერთო დიდ საქმეში! ვიხსნათ
ერი სიკვდილისგან, რადგანაც მის სიცოცხლეში ყველანი ერთნაირადა ვა-
რთ დაინტერესებული! ან სიკვდილი, ან გამარჯვება და თავისუფალი,
დამოუკიდებელი ცხოვრება ერისა, რომლის განვითარებულ წიაღთა შინა
დღეს ჩვენგან წამოყენებული პრობლემანი, დღევანდელი ჩვენი ცალკე იდე-
ალები, რომელნიც დღეს სამტროდ გვალაშქრებენ ურთი--ერთზედ, კვ-
ლავ უფრო განცხოველებულნი აღიმართებიან ქართველი ერის წინაშე და
სიცოცხლით სავსე, ძლიერი ერი მათ მთელის ერის საკეთილდღეოდ ღი-
რსეულად განახორციელებს!... გაისმას ასეთი ხმა საქართველოში, გულ-
წრფელადა და მედგრად ყველა პარტიათა და წოდებათაგან და მერწმუნეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ეკონომიურადაც კი არც ისე ღარიბები ვიყოთ, როგორც ჩვენა გვგონია და მტერს დამარცხების სირცხვილი ვაჭამოთ ჩვენი მცირე გროშებითა, მაგრამ ერთობის სალაროში მთელი ერის მიერ შეკრებილი გროშებითა. ყოველი ერი ასე იბრძოდა და იბრძვის დღესაც, რადგანაც მაში მართლაც არის ეროვნული თავის დაცვის სურვილი, ჩვენში კი საუბედუროდ ეს ელემენტარული რამ სანატრელი გამხდარა, ხოლო ჩვენი ბიზანტიური თეორიული უსუსურობა, პრესაში რომ რიხით გამოგვაქვს, დიდი პოლიტიკური სიმწიფის ნიშანი გვგონია!...

---

## პროტესტი
## ქართველ ერის პარიზში შეკრებილ წარმომადგენელთა.

ქართველ ერის წარმომადგენელნი თავიანთ საზოგადო კრებაზე 12 მაისის 1914 წ. აცნობებენ ყველა განათლებულ ერებს ქართველ ერის წამებას.

შეკავშირებული რუსეთთან ხელშეკრულობით, რომელსაც ხელს აწერენ რუსთა იმპერატორი და ქართველთა მეფე, საქართველო გახდა მსხვერპლი რუსის ჯარის ვერაგულ შემოსევისა; მისი ეკლესიები წაბილწეს და გაცარცვეს, მისი სიმდიდრე დაიტაცეს და რუსეთს გაგზავნეს, მისი საუკეთესო შვილები ან დახოცეს, ან გააძევეს, ან და ციხეებში ჩაამწყვდიეს. ამის შემდეგ უბედურ საქართველოს შემოესია ველურთა რბოები ფიცის გამტეხთა მიერ წარმოგზავნილნი.

რუსის მთავრობა, რომელმაც აუტანელი გადასახადებით, ცარცვა—გლეჯით და ტაციაობით ისე გააღატაკა და დასცა ქართველი ერი, მიიყვანა იმ უკიდურეს წერტილამდე, როცა აჯანყება უწმინდესი მოვალეობაა, აგვირგვინებს დღეს ამ თავის პოლიტიკას დამონებისა და გარუსებისა—პროექტით, რომლის მიზანია: 20 000 ქართველ გლეხთა ექსპროპრიაცია, სრული მოსპობა 30 მეტ სოფელისა და მათ ადგილებზე სამხედრო აღლუმის მინდვრის გამართვა. ამგვარად დიდძალი მიწადმომქმედი ქართველობა ბარბაროსულ ძალით იძულებული იქნება ხელი აიღოს თავის მამაპაპეულ მამულზე და ღვთის ანაბარად უმწეოდ შარა გზაზე დატოვებული, თუ ეს პროექტი განხორციელდა.

პარიზში შეკრებილნი ქართველ ერის წარმომადგენელნი პროტესტს აცხადებენ მთელი თავისი ძალ—ღონით რუსის მთავრობის ამ წარმოუდგენელ ბარბაროსობის წინააღმდეგ, რომელიც მუდამ იმის ცდაშია, რომ არარად აქციოს ერი, რომელმაც 15 საუკუნის განმავლობაში საოცარი მამაცობით დაიცვა თავისი ვინაობა აზიის ბარბაროსთა წინააღმდეგ. ქართველი ერის წარმომადგენელნი მიმართავენ ევროპას ნუ მოგვაკლებენ ამ დიად განსაცდელში მათ თანაგრძნობას და დახმარებას და ამით ხელი შეუწყონ მათ, ვისიც უმაღლესი მისწრაფებაა იხილონ საქართველო ბედნიერი და თავისუფალი უცხოელთა უღელისაგან და აცნობოს ყველას და ყველგან, რომ რუსის მთავრობა თუ სისრულეში მოიყვანს თავის პროექტს, 20. 000 ქართველს მათი სამშობლო კერიდან არეკით, იმ კერიდან, რომელიც სისხლით დაიცვეს მათმა წინაპრებმა საუკუნეთა განმავლობაში, შეურაცყოფს კაცობრიობას თავისი უმსგავსო, ბარბაროსული საქციელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო დევნილი რუსისსამეფო ქალის მიერ.

შუაგულ საქართველოდან 30—ზე მეტი სოფლის აყრის განზრახვამ არა მარტო ქართველნი ჩააფიქრა და საგონებელს მისცა. ევროპის პრესამაც ხმა ამოიღო და ბევრ გაზეთში, როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში, შვეიცარიაში დაიბეჭდა საპროტესტო მოწოდებანი. აქ მცირედი შემოკლებით მოვიყვანთ ე. რუბანოვიჩის წერილს, რომელიც ამას წინედ გამოქვეყნდა ფრანგულ სოციალისტურ გაზეთ „ჰუმანიტეში," ზემო დასახელებულ სათაურით.

„გულსაკლავი კვნესა ხელახლა მოისმის ამიერ კავკასიის შუაგულიდან, იმ პატარა ქვეყნიდან, რომელსაც ეწოდება საქართველო და რომლის წვალება 1905—1906 წლ. რევოლუციონურ ბობოქრობის დროს იმედია ჯერაც არ დავიწყებია „ჰუმანიტეს" მკითხველებს. დიადი სარევოლუციო მოძრაობა ქართველ გლეხთა ჩაკლეს და დაარჩვეს სისხლში„..

რათა შური იძიოს იმ დამოუკიდებლობის მიდრეკილებისათვის, რომელიც ქართველმა გლეხმა დაიცვა მიუხედავად ათას გვარ სადევნ საშვალებათა სამეფო მთავრობას განუზრახავს ერთი ზომა, რომელიც ხალხს უკიდურეს სასოწარკვთილებაში აგდებს.

განზრახულია არც მეტი არც ნაკლები მთელი კუთხის სოფელ—დაბები, რომელიც რუსის ბიუროკრატიას „ცუდ აზრთა" ბუდედ მიაჩნია, ძირიან ფესვიანად ამოგდებულ იქმნას.

აი რას სწერს ერთი მეტად სანდო კორესპოდენტი. „ქალაქ გორის ახლო მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ნოყიერი და კოხტა ტირიფონის ველი, რომლის სოფლები (ჩამოთვლილია სახელები) წარმოადგენენ ჩვენი ისტორიის აკვანს, სადაც ხალხი წმინდად ინახავს თავის მებრძოლ და თავმოყვარე წინაპართა მოგონებას.

რუსის მთავრობამ გადასწყვიტა ამ სოფელთა გლეხებს ჩამოართვას მათი ქონება, დაანგრიოს მათი ბინა, და მათი მინდვრები, საძოვრები და ბაღები აქციოს ერთ გამაგრებულ ბანაკად, ერთ ფართო პოლიგონად თავის არტილერიის სავარჯიშოდ!"

და ეს ხდება სრულ მშვიდობიანობის დროს . . . .

ასეთი განზრახვა კაცისთვის დაუჯერებელია. მაგრამ საუბედუროდ ის მართლა არსებობს. . .

ერთი მოხუცი გლეხი თავის მხრივ აი რას გვწერს:

„გლეხთა ექვსას სახლზე მეტი, რომელიც დიდ მანძილზე მოფანტულია, უნდა დაანგრიონ. რაღად ვიქცევით. ორმოცის წლის განმავლობაში ორმოც ჯერაც არ დამისვენია. ჩემი მიწის თვითეული ტკაველი, ჩემი ვენახის თვითეული კვალი ჩემი ოფლით უხვად მომირწყავს. დღე და ღამ ვშრომომობდი, რათა ჩემი რვა შვილის საკვები მიწისაგან მიმეღო. დღე და ღამ მხოლოდ იმას ვფიქრობდი, თუ როგორ დამემუშავებია და გამემშვენებია ჩემი მინდვრები, სადაც განისვენებენ ჩემი მშობლები, ჩემი წინაპრები. დღეს კი მეუბნებიან: აიკარ ბარგი და დაიკარგეო!

მაგრამ სად წავიდე?

„ამ კითხვის პასუხი ვერ გვიპოვნიაო," შენიშნავს ქართული „სახალხო გაზეთი„ რომელმაც პირველმა ამცნო ქართველ ხალხს უბედურების მოახლოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი გლეხები უნებლიედ იგონებენ 1906 წლის საშინელ სურათს, როცა მეფის მოადგილის ვორონცოვ—დაშკოვის ბრძანებით მათ ქვეყანას შეესია ყაზახები, რომელთაც ხელი მიჰყვეს ხალხის ყლეტას, ქალთა შეურაცყოფას და მასიურ ხოცვას.

„ნუ თუ ევროპა დაანებებს ამ დანაშაულობის ჩადენასო?“ გვეკითხება ახალგაზდა ქართველთა ჯგუფი, რომელსაც გადაუწყვეტია იბრძოლოს ამ პროექტის განხორციელების წინააღმდეგ.

საუბედუროდ, ბურჟუაზიული და კაპიტალისტური ევროპა მოუხეშავ იმპერიალიზმის გავლენის ქვეშაა და ის მეტად დაინტერესებულია გაიტაცოს ბუნებრივი სიმდიდრე რუსეთისა კერძოდ კავკასიისა, რომ ასეთ მცირე რამემ ააღელვოს. ხოლო სოციალისტური ინტერნაციონალისტური ევროპა ეჭვს გარეშეა აამაღლებს ხმას. ვენის კონგრესზე, სადაც იმპერიალიზმი დღეს წესრიგშია ჩაწერილი, ქართველი სოციალისტები უსათუოდ მოიპოებენ გამხნევებას და ძმური სოლიდარობის გამოხმურებას მათ ტრაღიკულ ჩივილში.!!

---

## ქართველთა გაფანტვა.

ხალხი მოკლებული საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციას და თავისუფალ მწერლობას, ხშირად ვერ ამჩნევს იმ განსაცდელს, რომელიც მას ნელ-ნელა, მაგრამ გამუდმებით ეპარება და საბოლოოდ სულ დაცემას და გაქრობას უქადის. ქართველი ერი დღიდან რუსის შემოსვლისა ჩვენში მუდამ დიდ განსაცდელშია ყოველმხრივ. მუდმივი, სისტემატიური იერიში მისი არსებობის წინააღმდეგ არას დროს არ შეწყვეტილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფის მოადგილედ დაინიშნა გრ. ვორონცოვ—დაშკოვი, ჩვენ წინააღმდეგ სისტემატიური მოქმედება მეტად ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. რა საკვირველია, რუსის მთავრობა ჩვენში ახალ ზომებს არ იგონებს. ეს იგივე ძველი საშვალებანია. ამ საშვალებათა შემწეობით რუსებმა გარეკეს ყირიმის კუნძულიდან იქ მცხოვრები თათრები და მათ ნაპარტახევზე, მშვენიერ ბუნებით მიზიდულებმა სასახლეები წამოჭიმეს და სულ რაღაცა სამოციოდე წლის განმავლობაში ოდესღაც ძლიერ ყირიმის სამეფოს ნაცვლად დღეს აქა—იქ თუ წააწყდებით თათრის ნახევრად გავერანებულ სოფლებს. ისეთივე საშვალებით გარეკეს რუსებმა ექვსასი ათასი ჩერქეზი ოსმალეთში. აუტანელი ბარბაროსობით გამოგლიჯეს მამაპაპეული მიწა—წყალი ყალმუხებს და მათ მამულებზე რუსები ჩამოასახლეს. ისევე მოექცნენ აგრედ წოდებულ იმიერ კასპიის მხარეს, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი ზოგი ყაზახების ხმალმა მოსპო, ზოგიც პირდაპირ არეკეს და ღვთის ანაბარად გაუშვეს. მთელი ციმბირიც ასეთი წესით დაასახლეს რუსებმა. თანდათან ერეკებოდენ სხვა და სხვა საშვალებით ადგილობრივ მკვიდრთ და მათ ადგილებს ხელში იგდებდენ.

ქართველებსაც ასეთი ბედი მოგველის, თუ ეხლა მაინც არ ჩავფიქრდით, არ შევკავშირდით, არ ვიგრძენით მთელი სიღრმავე იმ უბედურებისა, რომელიც სულ დედამიწის პირიდან აღგვას გვიქადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირიფონის ველიდან ქართველების აყრა ეს არაა განკერძოებული მოვლენა.

გრ. ვარანცოვ—დაშკოვის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად საქართველო რამდენიმე წელიწადს სულ უნდა განიავდეს. ამ მიზნის მისაღწევად, ქართველობა უნდა დაშორებულ იქმნას ზღვიდან და მთელი შავი ზღვის ნაპირი რუსის ახალშენებმა უნდა დაიპიროს. აგრეთვე უნდა დაურიგდეს სახელმწიფო მიწები გადმოსახლებულ რუსებს შუაგულ საქართველოშიაც. და სადაც სახელმწიფო მიწა არ იქნება, იქ კერძო მემამულეთა მიწები უნდა იქმნას შესყიდული. სტოლიპინის მეცადინეობით და ვარანცოვ—დაშკოვის დახმარებით რუსის ხაზინას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შეეძინა თავად ციციშვილების მამული. ვინც ამ მამულის სივრცე და მდებარეობა იცის, მისთვის აშკარაა, რომ ამ მამულის ხაზინის ხელში გადასვლით და იქ რუსების ჩამოსახლებით შუაგულ საქართველო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდება. ტირიფონის მისაკუთრების გეგმაც არა ნაკლებ ვერაგული თავდასხმაა ქართველ ერზე.

ტირიფონის ველის საკითხი არაა საკითხი ოცდაათიოდე სოფლისა, ესაა მთელი ქართველ ერის არსებობის საკითხი. თუ აქამდის განაპირა ადგილებიდან გვერეკებოდენ, თუ აქამდის უმეტესად სამხედრო ძალას დარბევას მიმართავდენ, დღეს სახელმწიფო ძალდატანებით გვრეკავენ შუაგულ საქართველოდან, რათა აქ დაგვცენ და მოსპონ ჩვენი სახსენებელი. ერი, რომელიც ასეთ უდიდეს უბედურების მოახლოვებას ვერ იგრძნობს, უკვე მკვდარია. მას უკვე დაუკარგავს იმ მთლიანობის შეგნება, რომელიც ერთი კუთხის უბედურებას საყოველთაო უბედურებად ხდის, რომელიც ერთის გაჭირვებას საერთო გაჭირვებად აქცევს, რომელიც ერთის განსაცდელს საერთო განსაცდელად გამოიყვანს. თუმცა დაქსაქსული ვართ, თუმცა ეროვნული შეკავშირება საკმაო არა გვაქვს, შესაფერ თავდაცვის საშვალებათაც მოკლებულნი ვართ, მაგრამ ჩვენ მაინც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი ერი გულ—გრილად, მშვიდად არ მიეგებება ამ თავის განადგურებას, აკლებას. სადაც ქართველის გული კიდევ ფეთქს, სადაც ქართველობა ჯერ კიდევ იმედით შესცქერის უკეთესს მომავალს და მის მოსამზადებლად ბრძოლას და მსხვერპლს არ ერიდება, იქ კიდევ გაისმის შეურაცყოფილ და შეწუხებულ ერის ძლიერი პროტესტი. დადგა დრო, როცა საჭიროა ჩვენ მტერთ და ორგულთ დავანახვოთ, რომ ჩვენ უბრალო ბრბო, უბრალო ჯოგი კი არა ვართ, რომელთა გარეკა, საითაც გინდა, იქით შეიძლება, არამედ ერი ისტორიის ქარცესცლში გამოჭედილ პიროვნებით, რომლის გათელვა და შეურაცყოფა არავის არ ეპატიება.

---

## მიმოხილვა.

ქართველ ერში დღეს დიდი კრიზისია. მასში გამწვავებული ბრძოლაა, რომელიც მთელ ქართველობას ორ ბანაკად ჰყოფს. ეს არაა ბრძოლა საზოგადოებრივ ინტერესთა წინააღმდეგობით გამოწვეული. ესაა ბრძოლა ქართველ ერის შემომქმედ და დამრღვევ ძალთა შორის. შემომქმედი ძალა ერისა ყოველთვის თავის ძირითად პრინციპად აღიარებს ეროვნულ განვითარების ისტორიულ მთლიანობას და მის განუწყვეტელ მსვლელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პრინციპის აღიარება საშვალებას გვაძლევს წარსულის ყოველ თვალსაჩინო მოღვაწეს შესაფერი ადგილი მიუჩინოთ ეროვნულ პანთეონში და ღირსეული პატივის ცემით მოვეპყრათ მის ხსოვნას. ჩვენდა სავალალოდ, არის ჩვენში მეორე მიმართულება, რომელიც ამ ძირითად პრინციპს უარყოფს, რომელიც პირდაპირ ქართულ ეროვნულ შემოქმედების დარღვევისა და მოსპობისაკენ მიისწრაფვის. ესაა ჩვენში მომქმედი რუსის სოციალ—დემოკრატია. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თავის სამშობლოში, ე. ი. გერმანიაში სოციალ—დემოკრატია ეროვნულად უარმყოფელი ძალა სრულიად არ არის. მას აქვს გარკვეული საზოგადოებრივი იდეალი, რომლის მიხედვით ის გერმანელთა ეროვნულ ფარგალში თავისებურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ესევე ითქმის რუსეთში მომქმედ რუსის სოციალ—დემოკრატიაზე. ჩვენში კი რუს. ს.-დემოკრატია პირდაპირ ცდილობს ჩვენს ეროვნულ დაშლას. ამ მიდრეკილებას თავისი გამართლებაც მოუპოვეს. მზგავსად რუსოფილ მუხრან-ბატონისა, რომელმაც უკვე მესამოცე წლებში გამოაქვეყნა წიგნი, სადაც ამტკიცებდა პატარა ერები უნდა მოისპონ, ჩვენც, ქართველები პატარა ერი ვართ, ტყუილად ვფხაკურობთ, რაც მალე გადავგვარდებით და რუსის ტალღას შევუერთდებით, მით უკეთესი იქნებაო, რუსის სოციალ—დემოკრატებმაც ეს გზა აირჩიეს ქართველ ერისათვის. სწორედ ისეთივე აზრს არსებითად იზიარებენ სოციალ—დემოკრატები. აი მაგ. იხილეთ „ბათომის გაზეთში“ ბ. მოენიძის წერილი. ის ამბობს: „მარქსისტის წარმოდგენით ეროვნება ისტორიული მოვლენაა და როგორც ასეთი, განიცდის ცვალებადობას, **ამიტომ იგი ვერ იძნება ნაციონალურ განკერძოებათა თუ განსხვავებათა შენარჩუნების მომხრე**. პირიქით, **ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ**, რომ **ეს განსხვავებანი** ჩქარა გაქრენ და ინტერნაციონალურ კულტურას გზა გაეკაფოს.“ აქ სიტყვა „ინტერნაციონალური“ სულ უადგილოთაა ნახმარი. რადგან სულ სხვაა ერთა შორის დაახლოვება და !კულტურული გაცვლა—გამოცვლა და სულ სხვაა ამა თუ იმ ერის თავისებურებათა მოსპობის სურვილი. ყველასთვის ცხადია, რომ რამდენად კაცობრიობა წინ მიდის, იმდენად ერთა შორის კულტურული კავშირი იზრდება, სამაგიეროდ თვითეულ შემომქმედ ერის ინდივიდუალობა, პიროვნება, მეტს თავისებურებას იჩენს, უფრო მკაფიოდ ყალიბდება. რუსის ორტოდოქს სოციალ—დემოკრატის ზემო მოყვანილს აზრს არავითაოი კავშირი არ აქვს ნამდვილ ინტერნაციონალურ შეხედულებასთან, რომლისთვისაც ერნი თანაბარ ღირებულებას წარმოადგენენ მიუხედავად ამა თუ იმ ერის მრავალ—რიცხვიანობისა თუ სხვა თვისებისა. კონკრეტულად, ჩვენს პირობებში რომ განვმარტოთ ზემო მოყვანილი აზრი, ეს ნიშნავს, ქართველი ერი რუსის ახსელმწიფოებრივ ფარგალში მოყოლებული განიცდის სასტიკ დევნას, რომელიც მას გადაგვარებას, დაშლას უქადის, თუ ის არ გასწევს თავგანწირულ ბრძოლას. ამ ბრძოლაში დაპყრობილისა დამპყრობელის და შევიწროებულისა შემავიწროებელის წინააღმდეგ, მართლმადიდებელი რუსის სოციალ—დემოკრატი არა თუ არ უნდა მიეშველოს ქართველ ერს, პირიქით ხელიც კი უნდა შეუწყოს მის დაშლას, გადაგვარებას, მოსპობას. ამ მოსაზრების განხორციელება, პრაქტიკულ პოლიტიკაში გადატანა შესაფერ მუშაობაში გამომჟღავნდა. სხვათა შორის საჭირო იყო ქართველ ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერ მთლიანობის შერყევა, მისი ისტორიის შერყვნა. მართლაც სხვათა შორის არ დარჩა ქართველ ერის წარსულში არც ერთი ცოტაოდნად გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც არ შეხებოდა ეს უტიფარი სურვილი ქართველთა სახელის-დამცირებისა და შელახვისა. ამ უკანასკნელ დროს მთელ მოაზროვნე ქართველობას მოურიდებლად მიაძახეს—თქვენ მიერ პატივცემული და გმირად აღიარებული დიმიტრი ყიფიანი პურიშკევიჩიაო. მაგრამ განსაკუთრებული შეუჩერებელი ჩუმი, თუ ცხადი მუშაობა ილია ჭავჭავაძის სახელის დასამცირებლად კარგა ხანია საოცარი გულმოდგინებით სწარმოებს. ვინც ცოტაოდნად ქართულ ცხოვრებასთან ახლოა და შეუძლია რაიმე იგრძნოს, იმან კარგად იცის, რომ ილია ჭავჭავაძის ბარბაროსული მკვლელობა ღრმა ჭრილობაა ქართველ ერის ზნეობრივ სხეულზე, ჭრილობა, რომელსაც დროთა მსვლელობაც კი ვერ გაამთელებს, ვიდრე ქართველი ერი არსებობს. სოციალ—დემოკრატები თავიანთი გამოქნილი დიპლომატის პირით შეეცადენ—გაებიებრუებიათ ჭავჭავაძის სიკვდილი, რა მოხდა, ტყეს სჭრიდენ და ნაფოტი ჩამოცვივდაო. მაგრამ ქართველი ერი მათ ვერ დაეთანხმა. ჩვენში არავითარი პოლიტიკური პირობები არ მოითხოვდა ჭავჭავაძის მკვლელობას და თუ მაინც მოხდა, ეს უნდა ავხსნათ საერთოდ ქართველ ერის საოცარი ზნეობრივი დაძაბუნებით. მაგრამ მაინც იმდენად არ დავცემულვართ, რომ ჩადენილ დანაშაულის სიმწვავე არ ვიგრძნოთ. ვინ იცის, ეგების უმანკოდ დაღვრილმა სისხლმა გადარეცხოს ჩვენი ზნეობრივი დალაჩრება, ქართველ ერს თვალი გაახელიოს და აღორძინების გზა უჩვენოს. მაგრამ. სულ სხვანაირად მსჯელობენ რუსის სოციალ —დემოკრატები. ჭავჭავაძე სხეული მოკვდა, ჭავჭავაძე—სულიერი პიროვნება ამით კიდევ უფრო ამაღლდა. ამიტომაც არაა საკმარისი მარტო ფიზიკური სიკვდილი, საჭიროა და კიდევ უფრო საჭირო ზნეობრივი, სულიერი სიკვდილი, რათა შეირყეს ეს ერთი უდიდესი ბურჯთაგანი ქართველ ერის ეროვნულ აღდგენისა....

და როცა ქართველმა ერმა მათ იერიშზე შესძახა: გეყოფათ, შესდეგითო—! ატყდა საოცარი კორიანტელი და ლანძღვა—გინების გუდამ პირი მოიხსნა. სიტვვის თავისუფლება დიახაც, რომ ძვირფასი სამკაულია ყოველ განათლებულ ერში, მაგრამ ვისაც სურს თავისუფლებით ისარგებლოს, იმას არას დროს არ უნდა ავიწყდებოდეს მისი მეორე მხარე—მოვალეობა პატივისცემისა, თუნდაც მოპირდაპირესადმი. რა საკვირველია, ბ. პ. გელეიშვილს, რომლის ზნეობრივი საგძალი მეტად უჩინარია, რომელიც გუშინ წინ პოლიციელთა ორგანოში თანამშრომლობდა, გუშინ „თბილისის ფურცლის“ ხაჩატურიანცს მიქირავდა ქართველთა სალანძღავად, ჩვენ ვერაფერს მოვთხოვთ. მაგრამ იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც გელეშვილი თავის ფრთებ ქვეშ ამოიფარა, დიახაც რომ მოეთხოვება შეჩერდეს, დაფიქრდეს და ნუ განაგრძნობს იმ ეროვნულად გამხრწნელ მუშაობას, რომელიც მას ასე იტაცებს.

---

თუმცა პირადათ არ გიცნობთ, „თავ. საქ.“ არ დაგიკვეთნიათ, მაგრამ თქვენი მისამართი გავიგეთ და გიგზავნით.

მისამართი ყოველგვარ კორესპონდენციისათვის:

ფასი 1 ფრ. | Mlle G. Gilliéron, Cully (Vaud, Suisse)